F/2 75/138-37

შეერთდით!

ელიწადი მესამე

მუნისტი

ს. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76 მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26, ტელეფონი 5—43.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დიუსელდორფში ლიხმლგ
ნისტებსა და პოლიცი კლულია რამო
გერმანიის კომპა მოუწოდებს მშრომელთ
შურ-გლეხურ მთავრობის შექმნისაკენ.

ინგლისის პრესა აღიარებს, რომ შეუძლებელია გერმანიაში დარჩეს ცენტრალური მთავრობა; მისი სიტყვით, ინგლისის პოზიცია ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

საკავშირო გამოფენაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. კლარა ცეტკინ, რომელმაც დაახასიათა თანამედროვე გერმანიის მდგომარეობა

შაბათი, 2 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300.000 მან. № 225

ომბერს, საღამოს 7 საათზე,
იშნულია
ზიდიუმის სხდომა.
სწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი ხახაშვილი.

№ 2-3

მეურნეობის გაუმ- ბისათვის

წარმა-
ბისათვის
ამოცა-
ისაჩავს
და იღებს
ით ენერ-
ება უნდა
რომ მხო-
ათა მთავ-
ებში შე-
გაკეთება
უმჯობესებ-
სოფლის
ით, რასაც
უმნიშვნე-
ვდენ ქვე-
რთველოში
ს გამოცა-
მ უკანასკ-
ლო მიწის
ინა რადი-
ოლოთ მის
ლმა გლე-
საქმე გა-
ით. მაგრამ
, თუმცა
ნაწილი
ოწყობისა.
ეგ მიწათ-
მავების და
ურნეობის
რომელიც
გლეხო-
მიწის მარ-
საჭიროა
ს გადადგ-
მეტი ნა-
რაც შეიძ-

სიარული და ამავე მიმართულებით მუშაობა. ჩვენი ჩამორჩენილი სასოფლო მეურნეობაც მოითხოვს იმავე წამალს, რომლის საშუალებით შეუდგენ სოფლის ცხოვრების განკურნებას ჩვენი ჩრდილოეთელი ამხანაგები. და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არც ჩვენ ვართ უმოქმედოთ.

საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატი აწარმოებს საკმაოთ ენერგიულ მუშაობას ამ სფეროში. ის ცდილობს გააცნოს ჩვენს გლეხობას გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, ამ იარაღებით მოჰფინოს ჩვენი სოფელი, შეასწავლოს მიწის მუშას მათი ხმარება და გაუმჯობესებული წესით მიწის დამუშავება. ყოველ მაზრაში მან მოაწყო პუნქტები სასოფლო სამეურნეო ინვენტარით, რომლითაც სარგებლობას აჩვენებს სოფლის მუშებს მთელი წყება პროვინციაში დაგზავნილი მუშაკების, აგრონომების. მას შემდეგ, რაც გლეხობა სწავლობს, ეჩვევა გაუმჯობესებული იარაღით სარგებლობას, მთავრობა ცდილობს გლეხთა ამხანაგობების დაარსებას, რომ ამ გზით გაუადვილოს მას, მიწის მუშებს ახალი იარაღის შეძენა საკუთრებათ. ამნაირათ ბუნებრივათ სდგება გლეხების წინაშე კითხვა ამ იარაღების შეძენის შესახებ, რადგან ყველა ხედავს საცდელი მუშაობის შემდეგ, რომ ახალი წესი მიწის დამუშავების წინ წასწევს მის ოჯახურ კეთილდღეობას. სოფლის წვრილი საკუთრე, აღზრდილი თავისი გომარეობის გამო ინდივიდუალიზმის, განკერძოებულ ცხოვრების ტრადიციებში, ძალაუნებურ ეხეჩება აუცილებლობას თანხმობით და შეერთებული ძალით მედებისას, რადგან თვითონ უნდება, თვით ხედავს თვა- , რომ მხოლოთ ამ გზით დასძლევს ის გაძუნწებულ ბუნებას და გააუმჯობესებს თავის მდგომარეობას.

ამ პუნქტების მოწყობით, აგრონომიული დახმარების ორგანიით, საცდელი მუშაობის წარმოებით მთავრობამ დიდი საქმე თა ჩვენს სოფელს და ის გააგრძელებს ამ მუშაობას მანამდი, ჩვენი მშრომელი გლეხობა ლოთ არ დარწმუნდება, მ მხოლოთ მეურნეობის ახალი თ წარმოება და ამ მიზნით სანეო კოლექტივების დაარსება, გაუმჯობესებული იარაღების ამუშავება—არის ერთათ ერთი საშუალება ჩვენი სოფლის დაწინაურებისა და აყვავებისათვის.

მიწის რეფორმას უნდა მოჰყვეს მიწათმოწყობა, უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, აგრონომიული ცოდნის გავრცელება, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების ამუშავება სოფელში. მაშინ დაინახავს თრო ნათლათ ჩვენი გლე- სახე მთლიდ ჩვენმა ველმა, რა მოხდა მის , რა მოუტანა სოფ- პროლეტარულმა რე- და საბჭოთა ხელის-

კი
ბის
კ-

შესახებ

არ დაემა-
მეექსვი ფე-
ორმალური
კებთან
ბო-

ებში და რისთვისაც მუდამ ომით გვემუქრებიან, ქართველ ფედერალისტებთან ლაპარაკი კი ვერ მოუხერხებიათ, მაშ ერთ რაზმში როგორ წარმოადგენდენ? იკითხავს მკითხველი. საქმეც იმაშია, რომ საქართველოში წითელი ჯარების შემოსვლამდე ფედერალისტთა და ბოლშევიკთა ერთ რაზმში ყოფნის შესახებ ლაპარაკი სულ გაუგებრობაზეა დამყარებული. არავითარ ერთ რაზმს ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა.

ბოლშევიკები ამ დროს ისეთ სასტიკ დევნას განიცდიდენ ჟორდანია-რამიშვილის მთავრობისაგან და კედია-ფაჩულიას რაზმისაგან, რომ ყოველ სამეგობროთ გულწრფელად გაწვდილ ხელს დიდი სიხარულით შეხვდებოდენ, მაგრამ, მიუხედავათ თედო ღლონტის „ლაბორატორულ-მეცნიერულ“ კვლევა ძიებისა, ასეთი ხელი წარსულში არსად სჩანს.

მაგრამ თედო ღლონტი საბუთებს დაგვპირდა. ასრულებს კიდეც დაპირებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საბუთები საქმეს ვერ შველის და შეიძლება უმჯობესი იყო ისევ თედო ღლონტის „პორტფელში“ დარჩენილიყვნენ, ვიდრე გამომზეურებულიყვნენ გაზეთის ფურცლებზე. აი მისი სიტყვებიც: „განსაკუთრებული ყურადღება კი მივაქციეთ მუშათა კავშირებს და მუშათა მოძრაობას. ჩვენს წინაშე იდგა გაფიცვების ტალღა. მენშევიკები ებრძოდენ გაფიცვებს, ჩვენ და მუშა ბოლშევიკები ვეხმარებოდით გაფიცვას“. კეთილი და პატიოსანი, სირცხვილი და ზიზღი მენშევიკებს, რომლებიც, ბურჟუაზიული რესპუბლიკების განმტკიცების მიზნით, ებრძოდენ მუშათა გაფიცვებს. მაგრამ ერთი ვიკითხოთ,—ფედერალისტების და ბოლშევიკების საერთო გამოსვლებს შემთხვევითი ხასიათი ხომ არ ჰქონია? ხშირად სრულებით სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მაღიარებელი პარტიები შემთხვევით ერთად გამოდიან ხოლმე, ხშირად უკიდურესი მემარცხენეები და უკიდურესი მემარჯვენეები სხვადასხვა მოსაზრებებით ილაშქრებენ ცენტრისა და მთავრობის წინააღმდეგ.

მენშევიკები იმ დროს მართლაც იმდენათ გადაეშვენ შავი რეაქციისაკენ, რომ მათდამი მძლავრობას შეიძლება მართლა მიეყვანა ზოგი ფედერალისტი მუშები ბოლშევიკებთან კავშირში, მაგრამ თუ ფორმალური მოლაპარაკება ამის შესახებ მემარცხენე ფედერალისტთა პარტიას არ უწარმოებია, მას დამსახურებათ ვერ ჩავუთვლით ფედერალისტთა მუშების ბოლშევიკებთან ერთად გამოსვლას. მაშინ ბევრი უპარტიო მუშებიც ჩვენთან იყვნენ, მაგრამ თქვენ რა? ზედმეტია ამიტომ ლაპარაკი ბოლშევიკ-ფედერალისტთა ერთ რაზმში ყოფნის შესახებ 1921 წლამდე. თუ სადმე ბოლშევიკებთან ერთად გამოსვლაში ვინმეს მადლობა ეკუთვნის, ის უძღვენათ იმ ფედერალისტ მუშებს თუ ასეთები იყვნენ, რომლებიც ალბად, ალღოთი, ინსტიქტით გრძნობდენ მუშათა კლასის კომპარტიასთან სიახლოვის საჭიროებას. არ გავაგრძელებთ. ცხადია, რომ არც ეს საბუთი კმარა მემარცხენე ფედერალისტთა სიახლოვის დასამტკიცებლად ბოლშევიკებთან.

არ გამოუდგებით თედო ღლონტის ყველა დებულებების გარჩევას, ისედაც საკმაო დიდი ექსკურსიის გაკეთება დაგვჭირდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ს. ა—ს წერილი „ძველი ანგარიშები“ და თედო ღლონტის—„ძველი თამასუქები“ მოწმობენ, რომ მემარცხენე ფედერალისტებს კიდევ სავსებით ვერ გაუწყვეტიათ კავშირი ფედერალისტთა პარტიის ანტირევოლიუციონურ წარსულთან, თავის თანამედროვე მემარცხენეობით სურთ რეაბილიტაცია უყონ ფედერალისტთა პარტიის წარსულ მოღვაწეობას და არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით ვერც ფედერალისტთა პარტიის ისტორია და ვერც არჩილ ჯორჯაძის მოძღვრება ვერას მოიგებენ, მემარცხენე ფედერალისტებს კი ეჭვს დაბადებენ თავის ახალ პოზიციის სიმტკიცეში და მის სიახლოვეში კომპარტიის პოზიციებთან.

საქართველოში „ეროვნულ ნიადაგზე“ მომქმედ ყველა პარტიების წარსული „ცუდი“ იყო დღევანდელი თვალსაზრისით, „ცუდი“ იყო ფედერალისტთა წარსულიც და გვიანღა არის ეხლა ამ წარსულის მართლება, მოსაწყენია იმის კვლევა, თუ ვინ უფრო „ცუდი“ იყო. ამას მიუდგომელი ისტორია გამოარკვევს. დღეს კი, როდესაც ბრძოლა ახალი ქვეყნის შექმნისთვის, კომუნისტური წესწყობილების დამყარებისთვის, ისევ გრძელდება მსოფლიოში და ადრე თუ გვიან მოსალოდნელია გადამწყვეტი სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლის ცეცხლის დანთება, ძველი უთანხმოებების გაღრმავებას კი არ უნდა შევუდგეთ, თუ დღეს ერთი საქმისთვის ვიბრძვით, არამედ, პირიქით, რაც შეიძლება ახლო უნდა მივიდეთ და გავამაგროთ ის პარტია და ხელისუფლება, რომელსაც ხელთ უპყრია ამ ისტორიული ბრძოლის დიდი ინიციატივა და ხელმძღვანელობა.

ან იქით—რეაქციისაკენ, ან აქეთ—რევოლიუციისაკენ. ისტორია გარკვეულ ნაბიჯებს მოითხოვს. მემარცხენე ფედერალისტებმა უკვე გადასდგეს ნაბიჯი მარცხნივ, კომპარტიისაკენ და ეს ნაბიჯი ლოღიკურ დასკვნამდე უნდა მივიდეს!

და თუ მენშევიკური პარტიის საუკეთესო ნაწილი, მისი მუშურ-გლეხური შემადგენლობა აცხადებს სურვილს კომპარტიასთან გაერთიანებისას, არა ნაკლები [illegible] სურვილი მემარცხენე ფედერალისტების, რომლებიც მათზე მეტ რევოლიუციონერობას იჩემებენ წარსულში და ყოველ შემთხვევაში მათზე ადრე, ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების „მეორე დღესვე“ დასდგენ ამ ხელისუფლების პლატფორმაზე.

ორში ერთი: ან მართლა დგანან მემარცხენე ფედერალისტები საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე და კომინტერნის დროშის ქვეშ—მაშინ საჭიროა წაჰბაძონ ყოფილ მენშევიკებს, რომლებიც ძველის ლიკვიდაციის შემდეგ ახალ ორგანიზაციას არ აარსებენ, ე. ი., უფრო კონკრეტულათ რომ ვთქვათ, მემარცხენე ფედერალისტებმა გააუქმონ თავიანთი ორგანიზაცია, ან და პირველი დებულება არ შეესამება სინამდვილეს და ამ შემთხვევაში ზედმეტია ლამაზი სიტყვები და გრძელი ფელეტონები იმის დასამტკიცებლათ, რომ „ჩვენც ეხნავდით“ ან დღესაც „ვხნავთ“, ერთი არაკის არ იყოს.

ი. ბ.

გერმანიის ამბები

ბრძოლა მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის: საქსონიის კომპარტიის საოლქო კომიტეტმა მთავრობას, სოციალ-დემოკრატიას და პროფკავშირებს მიმართა წერილით, რომელშიაც მოითხოვს დაუყოვნებლივ მუშურ-გლეხურ მთავრობის შედგენას. კომპარტია მოუწოდებს მუშებს პროლეტარულ რაზმების შედგენის და ბავარია-საქსონიის საზღვრებზე დაბანაკებისაკენ.

შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ: ბოხუმში გამართულ მუშათა მასსიური დემონსტრაცია მოითხოვს შტრეზემანის მთავრობის გადადგომას, მუშურ-გლეხური მთავრობის შედგენას და პასიური წინააღმდეგობის გაგრძელებას. მუშებმა თავიანთი პრესის სასარგებლოთ ერთ კვირაში შეაგროვეს 17 მილიარდი მარკა.

რეაქციის ბანაკში: მიუნხენში კრებაზე გამოსულმა ჰიტლერმა მოუწოდა ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ფოსტა-ტელეგრაფის და გზათა მიმოსვლის მინისტრი მოუწოდებს საოკუპაციო ოლქში მცხოვრებთ დაემორჩილონ საფრანგეთის ყველა მოთხოვნილებებს.

გამარჯვებულთა პოზიცია: ინგლისური გაზეთები ექვობენ, რომ გერმანიაში დარჩეს ცენტრალური მთავრობა. ინგლისის მთავრობის პოზიცია ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

ბრძოლა მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის

საქსონიის კომპარტიის საოლქო კომიტეტის წერილი.

ბერლინი. 30 სექტ. საქსონიის კომპარტიის საოლქო კომიტეტი საქსონიის მთავრობის, სოც.-დემ. საოლქო კომიტეტისა და პროფკავშირებისადმი მიმართულ ღია წერილში მოითხოვს დაუყოვნებლივ მუშურ-გლეხურ მთავრობის შედგენას. წერილი წინადადებას იძლევა, რათა დაუყოვნებლივ იქნან შეიარაღებული პროლეტარული რაზმები და თავი მოუყარონ მათ ბავარია საქსონიის საზღვარზე ფაშისტების თავდასხმის მოსაგერებლად. წერილი აგრეთვე მოითხოვს საკონტროლო კომისიებისათვის რეკვიზიციის და მოსავლის ნაციონალიზაციის უფლების მინიჭებას და რუსეთთან შეთანხმებას პურის მიწოდების შესახებ.

წერილი აღნიშნავს, რომ საჭიროა გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ ყოველგვარ ამკრძალავ ზომების გაუქმება და მთელ გერმანიაში მასიურ პოლიტიკურ გაფიცვების გამოცხადება, რაც არის ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საშუალება.

საქსონიის კომუნისტების მოწოდების გამოძახილი

ბერლინი 30 სექტემბერი. საქსონიის კომუნისტების მოწოდებამ უკვე ჰპოვა გამოძახილი ლეიპციგში, სადაც ადგილობრივ კომუნისტების ინიციატივით მოხდა შეთანხმება კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ორივე პარტიის გაერთიანებული თავდაცვის საკითხში.

საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია.

ბერლინი 30 სექტემბერი. საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და საქსონიის ლანდტაგის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის საოლქო კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საქსონიაში საალყო წესების შემოღება არ არის გამართლებული საქმის ვითარებით, რადგან თვით საქსონიის მთავრობა იძლევა გარანტიას დაიცვას ქვეყანაში სრული წესრიგი. ცენტრალურ მთავრობის განკარგულებანი, რომელიც გამოცემულია საქსონიის სურვილის წინააღმდეგ, კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს პარტიის გარშემო თავიანთ რიგების შემოკრებისა და სიფხიზლისაკენ.

კომუნისტების გავლენა იზრდება

ბერლინი. 30 სექტ. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ კომპარტიის ეროვნული ლოზუნგები ხელს უწყობენ კომუნისტების გავლენის ზრდას. კომუნისტების მოწოდება საპროტესტო გაფიცვებისაკენ რურში წარმატებით დამთავრდა.

შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ

მუშები მოითხოვენ შტრეზემანის კაბინეტის გადადგომას.

ბერლინი. 30 სექტ. ბოხუმში გამართა მასიური მუშათა დემონსტრაცია [illegible] მეთაურობით, რომელიც მოითხოვს შტრეზემანის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას, მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენას და პასიური წინააღმდეგობის გაგრძელებას. დემონსტრაცია დაშალა პოლიციამ.

მოწოდება საყოველთაო გაფიცვისაკენ.

ლონდონი. 30 სექტემბერი. დაკავებულ ოლქებში ძლიერდება აგიტაცია კომუნისტების, რომლებიც ავრცელებენ ფურცლებს მოწოდებით საყოველთაო გაფიცვის შესახებ. ნაწილობრივი გაფიცვები მოხდა დიუსელდორფის რაიონის ზოგიერთ მაღაროებში.

პროტესტს აცხადებენ ათეულ ათასობით მუშები.

ბერლინი. 30 სექტემბერი. რურის მუშები ერთსულოვნათ გამოეხმაურენ კომპარტიის მოწოდებას 24 საათის საპროტესტო გაფიცვისათვის რურის ოლქის გირაოთ დატოვების წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტური პრესა არ არის ლეგალური და მზადებაც არალეგალურათ ხდება, გაფიცვებში და დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებდენ ასეულ ათასობით მუშები... ესენში გაფიცული იყო 50,000 მუშა. შესწყდა მუშაობა მაღაროებში. შეჩერდა მოძრაობა ქალაქის რკინისგზაზე. დემონსტრანტების მოძრაობა გაგრძელდა ორ საათს. კომუნისტი ორატორები აღნიშნავდენ, რომ გაფიცვა არის მხოლოდ დასაწყისი ბრძოლისა პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

იმ დროს, როდესაც ფრანგის დარაჯები თავისუფლად უშვებდენ და ხშირად კიდეც ესალმებოდენ დემონსტრანტებს, რამოდენიმე პოლიციელი თავს დაესხა მცირე ჯგუფს, რომელმაც უარი სთქვა დროშის ჩაბარებაზე.

დაჭრილია სამი მუშა მძიმეთ, ხოლო ერთი სასიკვდილოთ.

გილზენკირხენის ოლქში იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ. ჰამბურგში გაფიცულია წარმოებათა უმრავლესობა. გაფიცულთა რიცხვი აღემატება 40,000 კაცს. საოკუპაციო ხელისუფლებამ მოახდინა მასიური დაპატიმრება კომუნისტებს შორის.

მუშები დახმარებას აძლევენ საკუთარ პრესას.

ბერლინი. 30 სექტემბერი. მუშათა პრესის დასახმარებლად შემოწირულების მოგროვებით ამ უკანასკნელ დღეებში შემოვიდა 17 მილიარდი მარკა.

არეულობა ფრეიბურგში.

ბერლინი. 30 სექტემბერი. ფრეიბურგში (საქსონია) რამოდენიმე ასეულ კაცისაგან შემდგარმა ბრბომ დაარბია სურსათის მაღაზიები.

რეიხსტაგში.

ბერლინი. 30 სექტემბერი. რეიხსტაგში კომუნისტებმა და ნაციონალისტებმა პროტესტი განაცხადეს გერმანიაში საალყო წესების გამოცხადების წინააღმდეგ. სამშაბათს ელიან შტრეზემანის გამოსვლას რეიხსტაგში, რომელიც მოხსენებას გააკეთებს ქვეყნის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ.

დემონსტრაციები და კონტრ-დემონსტრაციები.

ლონდონი. დიუსელდორფში ხვალისათვის დანიშნულ რეინის სეპარატისტების დემონსტრაციის გამო, მათი მოწინააღმდეგენი მართავენ კელნში კონტრ-დემონსტრაციას.

რეაქციის ბანაკში

მოწოდება ინტერნაციონალიზმის [illegible]

ბერლინი. 30 სექტემბერი. ოთხშაბათს მიუნხენის პოლიციამ დაიკავა 14 შენობა, სადაც უნდა გამოსულიყო ჰიტლერი. ნაციონალისტებმა თავი შეიკავეს კრების გამართვის ცდიდან. ჰიტლერი გამოვიდა ფაშისტური გაზეთის რედაქციის ფანჯრიდან და მოუწოდა „ინტერნაციონალიზმის“ საწინააღმდეგო ბრძოლისაკენ და სამშობლოს გა თავისუფლებისაკენ „შინაურ რეშე მტრებისაგან“.

მთავრობა მოითხოვს ო ბისადმი სრულ დამორ

ბერლინი. 30 სექტემ ვლის და ფოსტა-ტელ ნისტრმა მიმართა რუ ოლქების მოხელეებს, სწყვიტონ პასიური და ყოველგვარი დახ

93 რაზე უნდა ვწეროთ?

(ჩვენი პასუხი ამხ. მუშკორ ალ. ბ—შვილს)

გაზ. „კომუნისტის“ № 223-ში ამხ. ალ. ბ—შვილმა მოათავსა პასუხი ჩემი შენიშვნის შესახებ ერთ წერილში, პრესის გარშემო დისკუსიის, დაწყების დროს. ამხანაგი სწერს: „ჩვენ, მუშები, ვცდილობთ რამენაირათ დავეუფლოთ წერის ტეხნიკას და დავძლიოთ ჩვენი უსწავლელობა, ვინც ამაში სერიოზული და ღრმა კრიტიკით ხელს შეგვიწყობს, დიდათ მადლობელი ვიქნებით“. მე არ შემიძლია სიამოვნება არ გამოვსთქვა და არ მივესალმო ამ სტრიქონების ავტორს ფრიად საჭირო და სერიოზულ მისწრაფებაში. საღი კრიტიკა ყოველთვის და ყოველგან,—ამას შეუძლია მხოლოდ დიდი სარგებლობის მოტანა. მიზანი ამ კრიტიკის უნდა იყოს [illegible] ნაკლის გამოსწორება. დიდათ სასიხარულოა, რომ ჩვენი მუშების მიერ ასე იქნა გაგებული დღევანდელი დისკუსიის მნიშვნელობა. ჩემს წერილს ჰქონდა ერთი მიზანი: პრესის საკითხის დასმა და აღნიშვნა მისი ზოგიერთი ნაკლის. კერძოთ, მუშათა ცხოვრების განყოფილება, ჩემის აზრით, არ არის დამაკმაყოფილებელი. ამხ. ბ—შვილიც ამ რომ „ჩვენ, მუშკორებს“ „მუშავრებისათვის“ ძალიან მცირე აქვს დათმობილი „კომუ და სხვ. მე არ ვიცი რო საერთო აზრი პრესის ცხოვრების განყოფილე საჭიროა ჩვენმა მუშკო აზრი გამოსთქვან ამის „სადავო“ კორესპონ ბ. პირველ წერილში „ამ კორესპონდენ ნ იმიტომ, რომ ეს

ამხ. ბ—შვილს ჩემ მიერ აღნიშნული ნაკლი ნაკლათ არ მიაჩნია. მე კი ეხლაც ვფიქრობ, რომ ასე კორესპონდენციები არ უნდა იწერებოდეს. ჩვენ ვთქვით, რომ კორესპონდენციაში საჭირო იყო აღნიშვნა იმის, რისთვისაც ფაბკომს მადლობა გამოუცხადეს და ავღნიშნავდი, რომ მკითხველები ვერას გაიგებდენ ამ მადლობის მიზეზების შესახებ მეთქი. ამხ. ბ—შვილი კი გვეუბნება: „მართალია, ამხანაგო, გარეშე პირი ვერას გაიგებდნენ, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ჩვენი მუშები მშვენივრად იგებენ მას, თუ რისთვის გამოუცხადეს ფაბკომს მადლობა“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი მუშკორის კორესპონდენციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ყველა მუშებისათვის, აგრეთვე საბჭოთა და პარტიული ორგანოებისათვის. ფაბრიკა „პროლეტ-რის“ მუშებს, რასაკვირველია, ესმით მიზეზი ფაბკომისადმი გამოცხადებული მადლობის, მაგრამ ეს არ ესმის სხვა მკითხველებს, სხვა ფაბრიკის მუშებს. რომ ვკითხოთ მეორე ფაბრიკის, ან ქარხნის მუშას რა გაიგეთ ამ კორესპონდენციიდანო, ისიც იმას იტყვის, რაც მე ვთქვი ჩემს წერილში. არჩეულთა სიის და მადლობის გამოცხადებას, რასაკვირველია, აქვს მნიშვნელობა (წაქეზებითი) არჩეულებისათვის. ამას აღნიშნავს ამხ. გ. კ. თავის წერილში პრესის შესახებ. „განა აზრი არ აქვს „წითელ“ და „შავ“ დაფაზე გამოცხადებას“?—გვეკითხება ის. დიახ, აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი აღნიშნავენ, თუ რატომ გამოაცხადეს შავ ან წითელ დაფაზე ესა თუ ის პირი. ეს კი ჩვენ ხსენებულ კორესპონდენციაში არა გვაქვს. მუშკორის ყურადღების ცენტრი აქ კი არ უნდა იყოს, არამედ მიზეზების და მუშაობის გარკვევაში. მე არ ვიცი რითი დაიმსახურეს ფაბკომის წევრებმა მადლობა, მაგრამ ამის აღნიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე, მესამე და სხვ. ფაბკომისათვის. შეიძლება ბევრი მისაბაძი რამე აქვს „პროლეტარის“ ფაბკომს. აი, ეს უნდა გაეგო კორესპონდენციიდან სხვა ფაბრიკების მუშებს და ამას ექნებოდა გაცილებით მეტი მნიშვნელობა, უფრო დიდი აქტიური მნიშვნელობა, ვინემ არჩეულების სიის მშრალ აღნუსხვას. ეს გვქონდა ჩვენ მხედველობაში, როდესაც ვამბობდით, რომ მკითხველებს „უფრო აინტერესებს ია, თუ როგორ იყო დაყენებული საქმე ფაბკომში“. ყოველი მწერალი უნდა სწერდეს არა თავისთვის, არამედ მკითხველებისათვის; ისინი უნდა გამოდიოდენ წერის დროს მკითხველიდან და არა თავისი თავიდან. ამას აღნიშნავს ერთ თავის წერილში ამხ. ტროცკი. ეს სადავო ჩვენთვის არ უნდა იყოს. შეიძლება მუშკორს, რომელიც მომავალში მწერალი უნდა გახდეს, არ აქვს გამომუშავებული წერის ტეხნიკა, რაც მთელი პროცესია, მაგრამ მის მიერ მაინც უნდა იყოს ცდები ამ მხივ და ახე წერის. სუსტად დაწერილ წერილებს ჩვენი მუშათა გაზეთების რედაქციები ასწორებენ და ისე უშვებენ. ეს არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი მიზეზი, თუ კი მუშამ და გლეხმა წერა-კითხვა იცის.

ქვევით ამხ. ბ—შვილი გვეკითხება: „გვაქვს თუ არა იმის საშუალება, რომ ექვსი თვის ანგარიშები დაწერილებით ავწეროთ, წარვადგინოთ რედაქციაში, ც რედაქციამ სავსებით ც შეუმოკლებლათ გამოუშვას იგი? რასაკვირველია, არა, არაო“—დასძენს ამხ. მუშკორი. ეს ექვსი თვის ანგარიში დაწერილებით კი არ უნდა იყოს აღწერილი, ამას მე სრულებით არ მოვითხოვდი წინა წერილში. არა. საჭიროა, რომ მთავარი, საყურადღებო ამ მუშაობიდან იქნეს გადმოცემული. მეტის გაშვება არც რედაქციას შეუძლია. და ამ მთავარის გადმოცემას აქვს უმეტესი მნიშვნელობა ასეთი ხასიათის კორესპონდენციებში. საერთოდ, ჩემი აზრით, ასეთი კორესპონდენციები (ანგარიშები) ხოლოთ იშვიათად თუ უნდა დაიბეჭდოს ჩვენს გაზეთებში. თემების აღება, რასაკვირველია, ყველა მწერლებს შეუძლია, მაგრამ ამაში კი არ არის. საქმე იმაშია, რომ ისეთი თემა აილო, რაც მშრომელთ ღელვებს და უფრო მეტად აინტერესებს. რაზე უნდა სწეროს ჩვენმა მუშკორებმა? ამ კითხვაზე მე პასუხი პირველ წერილში მივეცი. განა ერთი მესხედი მუშათა ცხოვრებიდან დღეს გამოტანილია პრესის სინათლეზე? არა. მრავალი საკითხები მივიწყებულია და მრავალი სუსტად შუქდება. როგორია მუშათა ბინის პირობები. აქვს მათ სამკითხველო თუ არა, იციან წერა-კითხვა თუ არა, რა ნივთიერ პირობებში არიან, როგორ ეპყრობა ადმინისტრაცია, როგორია ყოფა-ცხოვრების (შინაური) პირობები და მრავალი სხვ. აი ის უხვი მასალა, რომელიც მუშკორებს ყველას დასანახათ და გასაგონად უნდა გამოჰქონდეს გაზეთების ფურცლებზე. მუშკორები ჩვენს რესპუბლიკაში უდიდეს მუშაობას აწარმოებენ. ისინი უთითებენ ყოველ ნაკლზე და მოითხოვენ მის გამოსწორებას. აი ეს მუშაობა უნდა იქნეს გაღვივებული. **ასეთი მუშაობის პროცესში ყოველი მუშკორი ეცნობა ცხოვრების ყოველ კუნჭულებს და ბოლოს თავისაგან ზრდის უფრო უკეთესს მწერალს, ჟურნალისტს, ვიდრე ასეთი იზრდებოდენ სკოლებსა და კაბინეტებში.** ამით მუშათა პრესაც თავის უდიდეს მიზანთაგანს—მუშა მწერლების აღზრდის ხელისშეწყობას განახორციელებს.

კ. ორაგველიძე

ჩვენი პრესის გარშემო

(დისკუსიისათვის)

ამ დღეებში გაზეთებში დაიბეჭდა რამოდენიმე წერილი ჩვენი პრესის მდგომარეობის შესახებ, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული ნაკლი და შესაფერ ზომებზედაცაა მითითებული მის გამოსასწორებლათ და საერთოდ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იქ ყველაფერი საკმაოთ იყო ნათქვამი და ჩვენ აქ ახალს ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მხოლოდ ამ მოკლე წერილით გვინდა ავღნიშნოთ ორი რამ, რასაც ჩვენს პრესაში აქვს ადგილი და დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს. მათი თავიდან აცილებლათ დაუყოვნებლივი ზომები უნდა მივიღოთ.

პირველია ის, რომ ჩვენს გაზეთებში, ყოველ შემთხვევაში მის დიდ უმრავლესობაში, ადგილი აქვს პოლიტიკური მდგომარეობის და მომდარი ფაქტების გადაჭარბებულათ დაფასებას და საკითხისადმი ოპტიმისტურათ მიდგომას. ხშირად, როდესაც ჩვენს გაზეთებში აღნიშნულია რომელიმე ქვეყნის მუშათა კლასის მოძრაობა, გაფიცვები და სხვა, წერილის ბოლოს თქვენ წაიკითხავთ: „შორს არ არის ის დრო, როდესაც მუშათა კლასი საბოლოოთ გაიმარჯვებს და ააფრიალებს წითელ დროშას“ და სხვა ასეთებს. პოლიტიკური ხასიათის წერილები მიტინგურათ თავდება, რაც ჩვენის აზრით, დასაშვები არ არის. იყო დრო, როდესაც „მიტინგობას“, საერთო ფრაზებს, ლოზუნგებს და სხვა ასეთებს მნიშვნელობა ჰქონდათ, დღეს კი საჭიროა საკითხისადმი უფრო დაკვირვებით მიდგომა და მისი ღრმათ გაშუქება.

1917 წლიდან ჩვენს გაზეთებში ხშირად ფასდება ამნაირად პოლიტიკური მდგომარეობა, ხშირად ვწერთ „შორს არ არის ის დრო“-თქო და როდესაც ეს ასე არ ხდება, როდესაც ეს დრო შორს რჩება, როდესაც ის იგვიანებს—ეკარგებათ მნიშვნელობა ასეთ წერილებს, მკითხველი საზოგადოება (განსაკუთრებით—მუშები და გლეხები) უნდობლათ უყურებს ასეთ „დაფასებას“ და მისი აღარ სჯერა. ამიტომ თავი უნდა დავანებოთ მიტინგურ სიტყვებს, მომხდარ ამბების მნიშვნელობის გადაჭარბებულათ აღნიშვნას და საერთოდ ოპტიმისტურათ მსჯელობას. დღეს საჭიროა საკითხის, განსაკუთრებით კი პოლიტიკური მდგომარეობის და მნიშვნელოვანი ფაქტების—პირდაპირი, ნამდვილი და ღრმათ დაფასება და ეს ყოველთვის ასე უნდა ხდებოდეს.

მეორე—ყურადღება უნდა მიექცეს გაზეთის ინფორმაციას, ახალ ამბებს და სხვაგვარ ცნობებს. ხშირად არის შემთხვევები, რომ გაზეთში იბეჭდება ყალბი ცნობები და ხალხის თვალში ეს მოვლენა სავსებით ასუსტებს ყოველივე სწორი ცნობების და რადიო-დეპეშების მნიშვნელობასაც. საკმაოა ზოგიერთი გაზეთების რედაქციებმა შემთხვევით გაიგონ რაიმე ამბავი, რომ ხელათ ის გაზეთში მოათავსონ. ხანდახან ასეთი ამბების მოტანა ხდება ჩვენი მტრების მიერ პროვოკაციის მიზნით და ამით ჯერ ერთი შეცდომაში შედის თვით რედაქცია და მეორე—ის იწვევს გაუგებრობას და ყოველგვარ ცნობებისადმი უნდობლობას მკითხველებში. ს დასასურათებლათ. აქ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: ყ იცის, რომ თავის დროზე მე კურ მთავრობამ განიზრახა ქ სა და ხონს შუა რკინის გაყვანა, კიდევაც დაიწყეს საქმე, გაიყვანეს რამოდენიმე ვე ზე გზა, გადმოზიდეს ვაგო და სხვა... მაგრამ ეს ამ სახით ტოვეს მათ, როგორც ყოველიფ ისე აქაც გამოიჩინეს უმოქმ და დაწყებული საქმე ვერ დაათა ჩვენმა მთავრობამ გადასწყვიტა გზის ლიკვიდაცია და კიდევაც დღეებში აღებულ იქნა გზ გონები გადაიზიდა ქუ მთავრობის ასეთ მოქმე განკარგულებას ჰქონდა თავ ძველი. ხალხში კი ეს გარ გაუგებრობას იწვევს, თუ რატომ არ გავაგრძელეთ ჩვენ ამ გზის კეთება და რატომ გადავზიდეთ ვაგონები. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ გაზეთებს განემარტათ ჩვენი მოქმედების მნიშვნელობა, აეხსნათ, თუ რისგანაა გამოწვეული ეს და ამით გაეფანტათ ყოველივე გაუგებრობა, გაზეთ „მუშის“ 253 ნომერში—ახალ ამბებში—ვკითხულობთ: „ქუთაისსა და ხონს რკინის გზის გაყვანა—გზ მართველო ამ ჟამად და მუშაობას აწარმოებს ქ ხონს შუა რკინის გზას ეს ცნობა, რა თქმა უ გაუგებრობას, ადვილი ნია—ასეთი ცნობების მოთ შემდეგ—როდესაც ეს ქუთაისზე იყ რება—თუ რა მნიშვნელობა ექნება ხალხის თვალში ცნობებს ბულგარეთში, ესპანეთში, გერმანიაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში მომხდარ მართალ ამბებზე.

ამიტომ არ შეიძლება გაზეთში შეუმოწმებელი ცნობების მოთავსება. საჭიროა რედაქციამ ჯერ გამოარკვიოს მიღებული ცნობის სინამდვილე და შემდეგ გაუშვას გაზეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში აღარც დანარჩენ ცნობებს და რადიო-დეპეშებს ექნებათ რაიმე მნიშვნელობა და მათ არავინ წაიკითხავს.

მამასადამე—საჭიროა პრესაში პოლიტიკური მდგომარეობის და საერთოდ ყველაფრის სწორად და გადაუჭარბებლად დაფასება და მხოლოდ შემოწმებული და ნამდვილი ცნობების მოთავსება, რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ვ. ტ.

1

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

[illegible] საქმეში. ახლა [illegible] ყველა იმ [illegible] გაუქმება, რომელიც [illegible] მოწოდებათა შე[illegible]ტას.

თეთრგვარდიელები გარბიან.

ვენა. 30 სექტემბერი. ვენაში შემჩნეულია გერმანიიდან შეძლებულ ლტოლვილთა ჩამოსვლა. **რუსეთის თეთრგვარდიელები, რომელნიც ბერლინში ცხოვრობენ, თავს იფარიან ავსტრიაში.**

ფართო კოალიცია იშლება.

პარიზი. 30 სექტ. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანიის კაბინეტში თავი იჩინა განხეთქილებამ. მემარჯვენეებს სურთ ჩამოაშორონ სოციალ-დემოკრატები მთავრობას და შექმნან ნაციონალისტებთან წმინდა ბურჟუაზიული მთავრობა.

[illegible]თანადო მომენტს მოდიან.

[illegible] 28 სექტ. [illegible] გამოსაყოფულად სთვლიან. წინადაც კარით? გამომუშავებული კომბინაციით თავიდანაა ამორებული ჰიტლერის მიმდევართა პოლიტიკური გადატრიალება. ამ აზრს არ იზიარებს გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგი" და „ფრანკფურტერ ცეიტუნგი": ორივე გაზეთები აღნიშნავენ, რომ კარსა და ჰიტლერს შორის არ არის დიდი უთანხმოება და დავა ეხება მხოლოდ სათანადო მომენტის შერჩევას ფაშისტურ ზრახვების სისრულეში მოსაყვანად.

მიუნხენში დამხმარე ძალები მიდიან.

ბერლინი. 28 სექტ. ბავარიის სხვადასხვა ქალაქებიდან მიდიან დამხმარე ძალები მიუნხენის გარნიზონის გასამაგრებლად.

კაპიტულიაციის შემდეგ

ვინც „ანი" სთქვა, ის „ბან"-საც იტყვის.

ბერლინი. 28 სექტემბერი. რეიხსტაგის სხდომაზე კომუნისტმა შტეკერმა რურის მუშათა სახელით სასტიკათ გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც კაპიტულიაცია გამოაცხადა ფრანგების წინაშე. შტეკერმა აღნიშნა, რომ კაპიტულიაციის შემდეგ გერმანიის მთავრობა მოუწოდებს საფრანგეთს რურის მუშათა წინააღმდეგ საბრძოლველათ.

სოციალ-დემოკრატების „თანამშრომლობა" მთავრობასთან.

ბაუცენი. 28 სექტ. **გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრ. კომიტეტი მოუწოდებს გერმანიის ყველა სოციალისტებს თავი შეიკავონ ყოველგვარ დამოუკიდებელ გამოსვლებისაგან და მხარი დაუჭირონ ცენტრ. კომიტეტს, რომელიც მთავრობასთან თანამშრომლობით ცდილობს დაიცვას რესპუბლიკა.**

ყველა კრებები აკრძალულია.

აუგსბურგი. 28 სექტ. **ლოსოვმა, რომელმაც გესლერისაგან ბავარიის ჯარების სარდლობა მიიღო, აკრძალა მიუნხენში ყოველგვარი კრებები.**

ჰიტლერის ორგანიზაციები, რომლებსაც მხარს უჭერს მონარქიის აღდგენის მოსურნე ლიუდენდორფი, კარის წინააღმდეგ არიან განწყობილნი.

უკიდურეს მემარჯვენეთა განთავისუფლება.

ბერლინი. 28 სექტ. ბერლინში დაპატიმრებული უკიდურესი მემარჯვენენი განთავისუფლებული არიან.

სამოქალაქო კომისრების დანიშვნა.

ბერლინი. 28 სექტემბერი. განზრახულია მთავრობის სამოქალაქო კომისრების დანიშვნა მთელს გერმანიაში. პრუსიის სამოქალაქო კომისრათ დანიშნულია ზევერინგი. აღმასრულებელი ხელისუფლება ბერლინში გადაეცემა რეიხსვერის მთავარსარდალს გენერალ ფონ-გორნს, სამოქალაქო— კომისარს ზევერინგს და პოლიციის პრეზიდენტ რიხტერს.

სინამდვილეს ფარავენ.

ბერლინი. 28 სექტემბერი. ბავარიის მთავრობის თვითნებურმა მოქმედებამ დიდი აურზაური გამოიწვია ბერლინის პოლიტიკურ წრეებში. ოფიციოზურ ცნობებში მთავრობა სცდილობს დაჰფაროს ბავარიის ამბების ნამდვილი სახე და ირწმუნება, რომ ბავარიის მთავრობა სავსებით ლოიალურია და შორს არის ყოველგვარ სეპარატისტულ ზრახვებისაგან.

გამარჯვებულთა პოზიცია

შტრეზემანს ინგლისის იმედი აქვს.

ლონდონი 30 სექტემბერი. 29 სექტემბერს ბერლინში მყოფი ინგლისელი ელჩი გაემგზავრა ლონდონში [illegible]თა აცნობოს ბალდვინს, რომ **შტრეზემანს [illegible] გერმანიაში შექმნილი [illegible] მდგომარეობა** [illegible] ინგლისის ელჩი გადასცემს [illegible]ს შტრეზემანის სურვილს, რა[illegible]მა გამოარკვიოს თავისი [illegible]

[illegible]ება გერმანიის ამ[illegible]ს შესახებ.

[illegible] სექტემბერი. **ინგ[illegible] ამს ხაზს პასიურ [illegible] შეწყვეტის უნაყოფობისათვის.** კიდევ უფრო [illegible]თ, ვიდრე რურის ოკუპაციის [illegible] წარმოებს კამპანია რეპარა[illegible] [illegible]ფარის თქმის სასარგებლოდ [illegible]ში ეშინიათ იმისი, რომ **დღე[illegible] მდგომარეობა გერმანიაში [illegible]ებს უმწვავდებს სამოქალაქო** [illegible]

„[illegible]ტერ გარდიენი" ხაზსს უსვამს, [illegible] მდგომარეობის ინტერესს შეადგენს არა ის, რას იზამს საფრანგეთი, არამედ ის, **დარჩება თუ არა ცენტრალური ხელისუფლება გერმანიაში.**

კონსერვატიული პრესა წინასწარმეტყველობს გერმანიის დანაწილებას.

ინგლისის მთავრობის პოზიცია სარეპარაციო საკითხში ჯერ კიდევ გამოურკვეველი რჩება. მთელი პრესა დაჟინებით მოითხოვს, რათა მთავრობამ ამ სისწორით განსაზღვროს თავისი პოზიცია.

მაკდონალდის სიტყვა.

ლონდონი. 30 სექტემბერი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კრებაზე მაკდონალდმა მოითხოვა სარეპარაციო საკითხის გადასინჯვა და განაცხადა, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება ინგლისსა, საფრანგეთსა, ბელგიასა და იტალიას შორის გერმანიის მიერ რეპარაციების გადახდის და სარეპარაციო საკითხის ლიკვიდაციის საშუალებათა შესახებ.

ნორვეგიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ქრისტიანია. 28 სექტემბერი. ნორვეგიის კომპარტიის ცეკას პლენუმმა 15 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 13-სა უარჰყო კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუცია მუშათა და გლეხთა მთავრობის და რელიგიის შესახებ და მიიღო ტრანმელის ფრაქციის რეზოლიუცია მუშათა და გლეხთა მთავრობის და ნორვეგიის პროფკავშირების პროფინტერნში დაუყოვნებლივ შესვლის წინააღმდეგ, კომინტერნის წესდების შეცვლის შესახებ რეზოლიუცია მოითხოვს, რათა კვლავ იქნეს შეტანილი ნორვეგიის დელეგაციის უმრავლესობის პროექტი კომინტერნის წესდების შესახებ კომინტერნის მეხუთე კონგრესზე. ცეკას პლენუმის უმცირესობამ ხმა მისცა კომინტერნის რეზოლიუციების უცვლელად მიღებას.

ხმის უმრავლესობით დადგენილია მოწვეულ იქნეს პარტიის საგანგებო ყრილობა 2 ნოემბერს.

სტოკჰოლმი. 28 სექტემბერი. გაზეთი „პოლიტიკენ"-ი იტყობინება, რომ ნორვეგიის კომპარტიის ცეკას პლენუმმა 15 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 13-სა მოიწონა ტორნეზის, კანეტის, ულსონის პარტიიდან გამორიცხვა. 18 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 9-სა პლენუმმა მოიწონა ცეკას პოლიტიკური ხაზი უმცირესობის წინადადება ამ რეზოლიუციის პროექტის პარტიულ ორგანიზაციებისათვის გადაცემის შესახებ, უარყოფილ იქნა 18 ხმით, წინააღმდეგ 9-სა.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ფინეთი

სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან.

პეტროგრადი. 29 სექტემბერი. ფინეთის სავაჭრო წარმომადგენელმა დახდო რუსეთთან ხელშეკრულება 160,000 ფუთი საგაზეთო ქაღალდის მოწოდებაზე.

საფრანგეთი

რუსეთის ვაჭრობით დაინტერესება.

პარიზი. 28 სექტ. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ ვაჭრობის სამინისტრო არასოდეს არ უკრძალავდა საფრანგეთის მოქალაქეებს ვაჭრობას რუსეთთან და არ უშლიდა ხელს სკობელევს თავის მუშაობაში. პირიქით, სამინისტრომ დაარსა სპეციალური განყოფილება, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო ცნობები რუსეთთან ვაჭრობის შესახებ.

ლიტვა

ლიტვამ იცნო ს. ს. რ. კავშირი.

კოვნო. 28 სექტემბერი. ლიტვის პრემიერმა გალვანოვსკიმ გადასცა ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელს ლორენცს ნოტა ჩიჩერინის სახელზე, ს. ს. რ. კავშირის ცნობის შესახებ.

სხვადასხვა

სპარსეთი

ახალი მიწისძვრა ქერმანშახში.

ბერლინი. 30 სექტ. სამხრეთ-სპარსეთში, განსაკუთრებით ქერმანშახში, კვლავ განმეორდა მიწის ნიადაგის რყევა, რამაც გამოიწვია საგრძნობი ზარალი.

ესპანეთი

8 საათის სამუშაო დღის გაუქმება ესპანეთში.

ბერლინი. 30 სექტ. ესპანეთის დირექტორიის მეთაურმა დე-რივერამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლითაც უქმდება 8 საათის სამუშაო დღე, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს „სიძვირის ზრდის მთავარ მიზეზს".

საბერძნეთი

კორფუს ევაკუაცია სრულდება.

ვენა. 28 სექტემბერი. იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ კორფუს ევაკუაცია დამთავრდება დღეს.

ინგლისი

არეულობა ლონდონში.

რომი 29 სექტემბერი. ლონდონის ღარიბულ უბნებში უმუშევართა არეულობა მოხდა, რომელიც პოლიციამ ჩააქრო. დაჭრილია 50 უმუშევარი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საკავშირო გამოფენა.

მოსკოვი. 1 ოქტ. გამოფენაზე გამართულმა ხალხთა დღესასწაულმა მიიზიდა მრავალი ექსკურსანტები—გლეხები და მუშები.

კლარა ცეტკინის სიტყვა

თავის მისალმებაში **კლარა ცეტკინმა, რომელსაც შეხვდნენ ოვაციებით, აღნიშნა, რომ გამოფენა არის რუსეთის პროლეტარიატის და გლეხობის შემოქმედებითი ძალების მაჩვენებელი.** რუსეთს შეეძლო დაეძლია სიმშილი და აღედგინა დანგრეული მეურნეობა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჰყავს მხნე პროლეტარიატი და გლეხობა კომპარტიის მეთაურობით „რუსეთის რევოლიუციის დიადმა [illegible] რესპუბლიკების კავშირმა. **გერმანიის რევოლიუციის აღზვირთებული ტალღა წარეცხავს დასავლეთის ბურჟუაზიას** და [illegible] კავშირით თქვენთან [illegible] საბოლოო [illegible] [illegible] ქნები ახლო მომავალში მივესალმო რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებს საბჭოთა გერმანიაში.

ამხ. კალინინის სიტყვა.

შემდეგ დამსწრეებს მიესალმნენ კომინტერნის წარმომადგენლები საფრანგეთიდან. ჩეხო-სლოვაკიიდან და ბულგარეთიდან, რომლებმაც ღრმა იმედი გამოსთქვეს გერმანიის პროლეტარიატის მომავალ გამარჯვებაში.

ს. ს. რ. კ. ცაკის წარმომადგენელმა ამხ. კალინინმა სთქვა: „დღევანდელი მოსკოვი წარმოადგენს ს. ს. რ. კავშირში მყოფ ყველა ერების სატახტო ქალაქს. ჩვენ აქ ხართ არა სტუმრები, არამედ თანასწორუფლებიანი მოქალაქეები. ახალ მოსკოვს აშენებას იკისრებენ საბჭოთა კავშირის ყველა ერები. მშვიდობით ძველო მოსკოვო. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი ხალხის ახალ მოსკოვს".

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მუშა-კორესპონდენტთა კლუბი.

ბაქო. 30 სექტ. „ბაქოს მუშის" მუშა კორესპონდენტები წინასწარ მუშაობას აწარმოებენ ამ მოკლე ხანში საკუთარი კლუბის დასაარსებლად.

შრომის ბირჟაზე

ბაქო. 30 სექტ. აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, ბირჟის შტატს ემატება თანამდებობა ინსტრუქტორისა, რომლის მოვალეობაც არის შემოწმოს უმუშევართა ცოდნა სამუშაოზე გაგზავნის დროს.

ამნისტია.

ბაქო. 30 სექტემბერი. 26 სექტემბერს, საკავშირო რესპუბლიკის დაარსების გამო გამოცემულ ამნისტიის მიხედვით, მე-2 გამასწორებელი სახლიდან (ძველად შემახის საპატიმრო) განთავისუფლეს 236 პატიმარი. ამჟამად კომისია იხილავს სიას იმ პატიმრებისას, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულობისათვის სხედან, ან რომელთა საქმეც გამოსაძიებლად არის აზერბეიჯანის საგანგებო კომიტეტში (ჩეკაში).

ნავთის გაზიდვის გეგმა სექტემბერში.

ბაქო. 30 სექტ. სექტემბრის შუა რიცხვებამდე კასპიის ზღვაზე მომყუდროებული ამინდი ერთბაშად შეიცვალა. ამოვარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის ქარი, რომელიც გაძლიერდა და 20 სექტემბერს უკვე კუდიან ქარად გადიქცა. ასტყდა საშინელი ღელვა, ნავოსნობა თითქმის ყველგან შესწყდა, 12 ფუტიან ბარაჟილიდან ბაქოს ბარაბლამდე. ამავე დროს ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში უბერავდა აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, რომელიც ტალღების გორებს აგორებდა. ასეთმა ქარებმა დიდათ შეაფერხეს ნავარაუდევი გაზიდვა ნავთის ნაწარმოებთა... მაგალითად, 12 ფუტიანის რეიდის ცნობებით, იქ მისული ნავთით დატვირთული გემები ვერას გზით ვერ მიუდგნენ ნაპირს და ვერ განიტვირთნენ. ამგვარად 24-დან 27 სექტემბრამდე რეიდზე თავი მოიყარა თითქმის კასპიის ზღვის მთელმა ნავთის საზიდმა ფლოტმა, სხვა ხაზებზე მომუშავე ნავთის გემებისა. ასეთ დაბრკოლებების გამო სექტემბერში ნავარაუდევი ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვას დააკლდა 2 ნახ. ფუთი ნავთი რეიდიდან მიღებული ცნობებით, 28 სექტემბერს ქარიშხალი ცოტა მიყუჩდა და ნავთით დატვირთული გემები თანდათან განიტვირთებიან.

სომხეთი

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის 40 წლის თავი.

ერევანი. 30 სექტემბერი. „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის 40 წლის თავზე ერევანში 28 სექტემბერს ყველა კომუჯრედებში გაიმართა საზოგადო კრებები.

ამნისტია.

ერევანი. 30 სექტემბერი. საკავშირო რესპუბლიკის დაარსების გამო გამოცხადებული ამნისტიის ძალით ერევნის საპატიმროდან გაანთავისუფლეს 106 ტუსაღი.

ერევნის უნივერსიტეტში.

ერევანი. 30 სექტემბერი. ერევნის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებზე მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

დასვენების სახლი.

ერევანი. 30 სექტემბერი. შრომის კომისარიატმა დაადგინა მომავალ ზაფხულს დასასვენებელი სახლები დაარსოს ცახკაძორსა, კარაკლისსა და დელიჟანში, სულ 750 მუშა-მოსამსახურისათვის. შემდეგ განზრახულია ასეთი სახლები გაიხსნას სევანის ტბის პირად.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის ფოთის სამაზრო კომიტეტის მუშაობა აგვისტოში

ორგანიზაციული მუშაობა აგვისტოს თვეში უმთავრეს ყურადღებას იქცევდა სამაზრო კონფერენცია, რომელიც [illegible] მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ. კონფერენციამ აღნიშნა, რომ მუშაობა ძველი სამაზრო კომიტეტისა ჩაითვლება ფრიად დამაკმაყოფილებლად, რამდენადაც მაზრაში დისციპლინა, შრომის უნარიანობა და სხვა დადებითი მხარეები ორგანიზაციისა მტკიცეთ არის დაცული. მიმაგრება პასუხისმგებელი და მომზადებული ამხანაგებისა უჯრედებზე და პოლიტწრეებზე ისევ სწარმოებს. ამ მეთოდს მეტად დადებითი შედეგები მოაქვს და აძლევს სამაზრო კომიტეტს სრულ საშუალებას თავის მიერ დასახული გეგმა და მიზნები პოლიტ-აღმზრდელობითი დარგში ჯეროვანათ გაატაროს ცხოვრებაში.

უჯრედების გეგმიან მუშაობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ მათი კრებები სისტემატიურად ხდება სისტემატიურად ხდება აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდობის კრებებიც.

როგორც დადებითი ფაქტი, აღვნიშნავთ კიდევ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის დაშლას, რაშიც აუცილებლად დიდი დამსახურება მიუძღვის კომკავშირს. „მარქსისტთა" კონფერენცია შესდგა აგვისტოში და მანვე გამოაცხადა დაშლილათ სამაზრო ორგანიზაცია „ახალგაზრდა მარქსისტებისა".

პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა. რეგულიარულად მიმდინარეობდა მარქსისტული წრის, პროფ-კოლექტივებისა და პოლიტ წრეების სხდომები. დისციპლინა მათში მაქსიმუმია იმის, რის მიღწევაც შეიძლება პროვინციაში ამ მხრივ. ამასთან პროფ-კოლექტივმა გამოიმუშავა გეგმა, რომელიც დაეგზავნა უჯრედებს და მათ ხელმძღვანელებს

საანგარიშო თვეში შესდგა ექსკურსია მალთაყვაში, რომელშიაც კავშირის წევრების გარდა მონაწილეობას ღებულობდა უპარტიო ახალგაზრდობა. ექსკურსიას ჰქონდა მეცნიერული ხასიათი და ჩატარდა დიდი დაინტერესებისა და ხალისის ნიშნით.

სწარმოებდა სამზადისი მუშაობ[illegible] ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე[illegible] 2 სექტემბრის ჩასატარებლად.

მუშაობა რაიონებში. რაიონებ[illegible] მუშაობაში აღინიშნება ისეთი სწო[illegible]

ხაზის აღებ[illegible] მიერ, რომელ[illegible] მხრივ თვით[illegible] რების გასა[illegible] შაობაში [illegible] სოფლების [illegible] კურ-განმანა[illegible] მოებაში. [illegible] დებს ხელმძღ[illegible] ლი ამხანაგე[illegible] ინსტრუქტო[illegible] ჯერ დადის [illegible] ნობა რა მა[illegible] თანადო [illegible] ბას. უჯრედ[illegible] წევრების [illegible] ტიული წრ[illegible] სოთ. აწყობ[illegible]

ამ.-კავკასიის საგან

1923 წელს, 4 სექტემბერს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ [illegible] მართლის სხდომაზე მოისმინა საქმე სად. ალექსანდროპოლის რკ[illegible] სატრანსპორტო საგანგებო კომისიის განყოფილების თანამშრომლებისა:

სიმონ ბეზსონოვის, ივანე გოროვანკინის, ბორის ბარანოვის, პეტრე ბორტკუნის, სერგო კასელევის, მიხეილ ჩერნიშევის, ვლადიმერ პავლოვის, ივანე ჩუპრაკოვის, ევგენი უხუტკინის და პეტრე შენგელიასი, რომელთაც ბრალათ ედებათ ლოთობა, დებოშის მოხდენა, საგანგებო კომისიის და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისათვის სახელის გატეხა და სამსახურის ვალდებულებებისადმი გულგრილათ მოპყრობა.

გამოძიებიდან გამოირკვა შემდეგი:

3 აგვისტოს სად. ალექსანდროპოლის 1 კლასის ბუფეტში ზემოთ აღნიშნულმა თანამშრომლებმა გამართეს ქეიფი. დათრობის შემდეგ ისინი გამოცხადდნენ სატრანსპორტო საგანგებო კომისიის განყოფილებაში, სადაც წინადადება მისცეს თანამშრომლებს შეეწყვიტათ მუშაობა.

როდესაც თანამშრომლებმა უარი განაცხადეს ამაზე და წინადადება მისცეს წარსულიყვნენ, მათ თავის ნებით ძალით დაიწყეს ქაღალდების მოგროვება მაგიდებიდან. დაუმორჩილებლობისათვის მომუშავე თანამშრომლებს თან. **ბარანოვი** დაემუქრა რევოლვერით, თან. **ბორტკუნმა** დაუწყო წყლის შესხმა ვედროდან, ხოლო თანამშრომელმა **გოროვანკინმა** იხმარა ფიზიკური ძალა მათ მიმართ. დაახლოვებით ორი საათის განმავლობაში გაგრძელებული დებოშის შემდეგ, მთვრალი კომპანია სადგურზე მყოფთა თვალწინ კვლავ გამოცხადდა ბუფეტში, სადაც თანამშრომელმა **ბეზსონოვმა** მოითხოვა არაყი. ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ გაფრთხილებულმა ბუფეტის მეპატრონემ უარი უთხრა მას არაყის მიცემაზე, რისთვისაც **ბეზსონოვმა** მას მიუშვირა შიშველი რევოლვერი. უხუ-

[illegible] განკ[illegible] ტის [illegible] ერ, უფრო[illegible] ქარი[illegible] როდი[illegible] ხელ[illegible] შრომ[illegible] კონ[illegible] უფრ[illegible] სონ[illegible] ხილ[illegible] თავ[illegible] თან[illegible] სამ[illegible] საქ[illegible] მს[illegible] ს[illegible] ლეს[illegible] განგებო [illegible] ანდრა[illegible] მიესაჯოს ფუ[illegible] ვრებ. ივანე მორ[illegible] ნისძე ზარან[illegible] პეტრე [illegible] (21 წ.)—ბუ[illegible] ბითი სამუშ[illegible] ალკვეთით დ[illegible] რების მითვლ[illegible] პეტრე ფ[illegible] (25 წ.), მაზ[illegible] ნიშევს (28 [illegible] კისელევს (2[illegible] ძე პავლოვს ([illegible] ძე ჩუპრაკო[illegible] კოლოზის ძე[illegible] საჯოთ თით[illegible] თი სამუშაო[illegible] კვეთით და [illegible] ბის მითვლი[illegible] განაჩენი [illegible] ლეში. ამიერ-კამ[illegible] მი[illegible]ის კოლ[illegible]

აღმოსავლეთ ფინინსპექტო

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გ[illegible] დასახადის წარმატებით ჩასატარებლად და აგრეთვე ზოგიერთი სხვა მიმდინარე საგადასახადო საკითხების გამოსარკვევად ა. | კ. ფინსახკომის რწმუნებულის (საქართველ[illegible] სამმართველოსთან შესდგა აღმო[illegible]

ოგორ უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა

მიული ცოდნა, სასოფლო სამეურნეო მანქანები, კომუნები და კოლექტივები

(სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შთაბეჭდილებიდან)

რამდენათ უფრო ახლო ეცნობი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, იმდენათ მეტად რწმუნდები იმაში, რომ ჩვენი სოფლის სიღარიბეში ბრალი უნდა დავდოთ მხოლოდ და მხოლოდ განუვითარებლობას, მეურნეობის წარმოებას არა კულტურული წესით. სოფელი და სასოფლო-მეურნეობა იმდენ შესაძლებლობას [illegible], რომ ის საკმარისი იქნება [illegible] სიღარიბის მოსასპობათ, [illegible]ფლობით სავსე ცხოვრების [illegible]. დღეს კი სულ სხვა სუ[illegible]. ავიღოთ მაგალითად მო[illegible] წლიურად მოსავლიანო[illegible] [illegible] იკლებს. თუ უწინ [illegible] იძლეოდა 50—60 [illegible] მოსავალს, ახლა კი ის ჩამოდის საშუალოდ 35—30-ათზე, ხანდახან კი უფრო მცირე მოსავალს აქვს ადგილი. ხშირად შეხვდებით [illegible] ადგილებს, სადაც უწინ დიდი [illegible]ული მოსავალი მოდიოდა, ახლა ბა[illegible] აღარ იზრდება. შინაური საქონლის მოშენებაც ძლიერ იკლებს. წინ თითქმის სოფელში ყველა ოჯახს, [illegible]ცირედი გამონაკლისის გარდა, ყავდათ არა თუ ერთი ან ორი უღელი სამუშაო საქონელი, არამედ რამოდენიმე სარძევე და სახორცე, ახლა იშვიათად შეხვდებით სამუშაო საქონლის მქონე გლეხს. ასევე შეიძლება ითქვას შინაურ წვრილფეხის, ბოსტნეულის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგის შესახებაც.

ამრიგად მოსავლიანობა და შინაური საქონლის მოშენება თანდათან მცირდება, მაშინ როცა სოფლის მცხოვრებლების რიცხვი იზრდება და სამუშაო მიწის ნაჭერი თვითეულ სულზე მცირდება, მეურნეობა წვრილდება.

როგორც ზევით ვსთქვით, მოსავლიანობის შემცირება ეს მეურნეობის უკულტუროთ, ძველი წესით წარმოების ბრალია. რასაც ბუნება უწინ იძლეოდა ბევრი ღონის და გონების დაუხარჯავად, ახლა ის, დიდი ხნის მუშაობით გამოფიტული, თხოულობს გაუმჯობესებული წესით დამუშავებას, რისი შედეგიც იქნება არა თუ ძველი ნაყოფიერების აღდგენა, არამედ მისი მასზე გადიდებაც.

ამის დამტკიცება ადვილათ შეიძლება.

შევადაროთ მაგალითად ყოველწლიური მოსავლიანობა ჩვენში (საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე) და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. საშუალოდ ამ უკანასკნელ წლებში ერთ დესიატინაზე მოდიოდა დანიაში—150, ბელგიაში—165, ჰოლანდიაში—162, გერმანიაში—145, ჩვენში—50 ფუთი პურის ხორბალი. უკანასკნელი ადგილი უჭირავს ჩვენ სასოფლო-მეურნეობას. იტყვით, იქ სხვა პირობებია, უფრო კარგი მიწა არის და მეტიც მოდის ასეთი მოსავალიო. ამიტომ დავანებოთ თუ გინდ თავი უცხო სახელმწიფოებს და ავიღოთ საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორია. შესაძლებელია თუ არა ორჯერ, სამჯერ მეტი მოსავლის მოყვანა, ვიდრე ახლა მოდის? რომ ეს შესაძლებელია და კიდეც მოდის, ამას გვიმტკიცებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილი სხვადასხვა მეურნეობები, როგორც კოლექტიური, ისე კერძო. ხშირად ერთი და იგივე ადგილიდან, ერთი და იგივე სოფლიდან, ერთი და იგივე ხარისხიან მიწაზე გაშენებული მეურნეობები დაუჯერებელ განსხვავებას იძლევიან. გამოფენაზე თქვენ შეხვდებით წარმოდგენილ რამოდენიმე გლეხის მეურნეობას და როცა ადარებთ მათი მეზობლების მეურნეობასთან, გაკვირვებაში მოდიხართ, თუ როგორ შესძლეს მეზობლებთან ერთნაირ პირობებში მუშაობით ისეთი მეურნეობის მოწყობა, რომელიც ნაყოფიერების მხრივ არ ჩამოუვარდებიან დასავლეთ ევროპის კულტურულად დაყენებულ მეურნეობებს. საილიუსტრაციოთ მოვიყვან გამოფენაზე წარმოდგენილ რამოდენიმე გლეხის მეურნეობას:

1. სმოლენსკის გუბერნიაში გლეხ. ნიკ. სტეპანენკოს საშუალო მოსავალი **ერთი დესიატინიდან** აღწევს 133 ფუთ პურის ხორბალს, შვრია (овес) —140 ფუთს და კართოფილი 2400 ფუთს (თვითეულ დესიატინიდან ცალკე), მაშინ როცა მის მეზობელ გლეხებს მოდისთ საშუალოდ დესიატინაზე 35—40 ფუთი პურის ხორბალი 50 ფუთი შვრია და 500—700 ფუთი კართოფილი.

სტეპანენკოს აქვს სულ 2 ნახ. დესიატ. მიწა; მუშაობს მარტო ის და მისი ცოლი და არავითარი დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ. ყავთ ერთი ცხენი ერთი ძროხა და რამოდენიმე ცხვარი. მიწას ამუშავებს ისეთივე იარაღებით, როგორც მისი მეზობლები, მაგრამ მოსავალი მოჰყავთ ორჯერ-სამჯერ მეტი.

2. იმავე მეურნეობიდან გლეხს ეფიმოვს მოჰყავდა თავის ადგილებიდან დესიატინაზე (50 ფ. შვრია—40—45 ფუთი, ქერი*) კარტოფილი 500—700 ფუთი. მისი ძროხა იწველება წლიურად 60 ვედრო რძეს. შემდეგში ეფიმოვმა დაიწყო მეურნეობის დამუშავება, **ისე როგორც მას ურჩევდა აგრონომი** და რამოდენიმე წლის განმავლობაში მისი მოსავალი ერთი სამათ გაიზარდა. 50 ფუთი ქერის მაგივრათ მან დესიატინაზე მოიწვია 170 ფუთი, 45 ფ. შვრიის მაგივრათ—120 ფუთი, 500—700 ფუთი კარტოფილის მაგივრათ 1400 ფუთი დესიატინიდან. ძროხამ [illegible] დაიწყო წველა არა 60 ვედროსი, არამედ 200 ვედროსი. ეფიმოვს აქვს სულ 12 დესიატინა. ოჯახში არის ოთხი მომუშავე და ოთხი არა მომუშავე. დაქირავებული შრომით სარგებლობდენ მხოლოდ წელიწადში შვიდი დღე კართოფილის მოსათხრელად. ეფიმოვის ნამუშევარს ახლა სამაგალითოდ აჩვენებენ გამოფენის, მთავარ პავილიონში.

3. აი კიდევ დონეცის ოლქის, ბახმუტის მაზრის გლეხი ნიკ. სკიბა. 1910 წელში აუღია იჯარით 10 დესიატინა სრულიად უვარგისი მიწა. — გადარეულა, ამ მიწაზე არავის არაფერი არ მოუყვანია და ის რას მოიყვანსო—დასცინოდენ მეზობლები. რამოდენიმე წლის მუშაობის შემდეგ ამ მიწამ ისეთი მოსავალი გამოიღო, რომ ამ მხარის საუკეთესო მიწებზედაც არ მოსულა იმდენი. წრეულს (23 წელში) ნიკ. სკიბამ მოიწია დესეტინაზე ერთი ჯიშის პური—190 ფუთი, მეორე ჯიშის—160 ფუთი და ქერი—220 ფუთი. ასეთი მოსავლიანობა ძლიერ იშვიათი არის რუსეთში. გვალვის დროს, როცა მეზობლებს არაფერი არ მოდისთ, ნიკ. სკიბას ყანებში მოდის ჩვეულებრივი მოსავალი. თითქო გვალვა სულაც არ ყოფილიყოს.

სკიბას სამეურნეო ინვენტარი შესდგება ერთი გუთნისაგან და ერთი ულელი ღარისაგან სალეწავ და სხვა საჭირო მანქანებს ის ქირავობს მანქანების კოოპერატიულ პუნქტებზე.

4. ეკატერინოსლავის გუბერნიის მცხოვრებელ გლეხს მოჟარს, სადღაც უშოვნია „მონგოლკას" (ასეთი ჯიში არის) პურის მხოლოდ ორი ხორბალი. 1919 წელს ეს ორი ხორბალი დაუთესია, მოსულა 3 | 4 გირვანქა ხორბალი, შემდეგ წლებში გაუმრავლებია და ამ რიგათ მოუგროვებია საკმაო სათესლე მასალა. ამ წელიწადში მას ამ ხორბლის დათესილ ყანებიდან მოუწევია დესეტინაზე 150 ფუთი, მაშინ როცა ადგილობრივი ჯიშის ხორბალი იძლევა მხოლოდ 50 ფუთს დესეტინაზე.

ზევით მოყვანილი მეურნეობათა რიცხვი ძლიერ მცირეა და იშვიათად შეხვდებით. საერთოდ სოფლის კერძო მეურნეობაში კულტურულად საქმის დაყენება შემთხვევითი მოვლენაა. მაგალითად გლეხი ნიკ. სტეპანენკო ყოფილი ჯარისკაცია, გერმანიაში ტყვეთ ნამყოფი და იქაურ სოფელში რამოდენიმე წელს ნამუშევარი. დანარჩენი ზევით ჩამოთვლილი გლეხებიც ირჩევიან სხვებისაგან თავიანთი გამბედაობათ (ყოველივე ახალ საქმის დაწყებას გამბედაობა სჭირია). მაგრამ არის ისეთი მეურნეობანი, სადაც მოსავლიანობის გადიდება და კულტურულად საქმის დაყენება მათ პირდაპირ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. ესენი არიან კოლექტიური საამხანაგო, საარტელო და საბჭოთა მეურნეობანი. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ისინი მთავარ ყურადღებას იქცევენ და გამოფენაზე ჩამოსულ მეურნე-ექსკურსანტს იზიდავენ. პროლეტარული მიწის დამუშავების პავილიონი, სასოფლო კოოპერაციის პავილიონი, სანიმუშო კომუნა—აი, სად შეიძლება გაეცნოთ ახალგაზრდა კომმუნებს, კოლექტივებს, ამ მომავალ ცხოვრების მახარობლებს. სულ ორი სამი წელია, რაც მათ არსებობას ჩაეყარა საფუძელი, მაგრამ მათ შესძლეს არარაობიდან, ეკონომიური მხრივ აუტანელ პირობებში, შექმნათ ისეთი მეურნეობანი, რომელნიც არა თუ ყოველმხრივად იკმაყოფილებენ იქ მომუშავეთ, არამედ სამაგალითოდ და სანიმუშოდ არიან ყველასათვის ამჟამად კოლექტივების რიცხვი აღწევს 9.234, სადაც წევრებათ შედიან 293,746 სული; კომუნების რიცხვი 551-ს, სადაც წევრების რიცხვი აღწევს 9 234 აქ შეუძლებელია ყველა მათი მოყვანა და მათ მიერ მიღწეული შედეგების ჩამოთვლა. მოვიხსენიებ მხოლოდ რამდენიმეს:

1. კომმუნა „კარლ მარქს"-ში ვლადიმერის გუბერნიაში ქერის მოსავალი დესეტინიდან აღწევს 100 ფუთს, მაშინ როცა იმავე სოფლის გლეხობაში მოსდით 55 ფუთი: პური [illegible] კომმუნაში დესეტინაზე მოდის 130 ფუთი, გლეხებს კი მოუდისთ 80 ფუთი; შვრია კომმუნაში 122, გლეხებს 70 ფუთი. გლეხების ძროხები იწველიან 60 ვედრო რძეს წელიწადში, კომუნაში 150-ს.

2. დონეცის რაიონში ქვანახშირის მუშების მიერ მოწყობილ იქნა 1919 წელი მეურნეობა უვარგის და ცუდ მიწებზე. ამ წელიწადში იქ მოიწვიეს ერთ დესეტინაზე პური 152 ფუთი, ქერი 180, შვრია 120, მაშინ როცა იმავე რაიონების გლეხებს მოუვიდათ საშუალოდ პური 50, შვრია 55, ქერი 60 ფუთი დესეტინაზე. გლეხების მოსავლიანობა ორჯერ-სამჯერ ნაკლებია, ვიდრე მუშების მეურნეობაში.

აქვე შეიძლება მოვიყვანოთ არეხოვო-ზუსკოს ქარხნების მიერ მოწყობილი 300 დესიატინისაგან შემდგარი მეურნეობა, რომელიც მოწყობილი იყო ჭაობების გაშრობით. ეს ჭაობები აქამდი, მხოლოდ ციების გავრცელების ბუდე იყო, ახლა კი იძლევა მოსავალს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ამ რაიონის გლეხების ყანები. შეიძლებოდა კიდევ უფრო მეტი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ესეც კმარა. საერთოდ კომმუნები და კოლექტივები მოსავლიანობის მხრივ ძლიერ ირჩევიან მეზობელ გლეხების კერძო მეურნეობათაგან. ამასთანავე გაცილებით ნაკლები შრომა იხარჯება კომუნებში, ვიდრე გლეხების მეურნეობაში. მაგალითად იაროსლავის გუბერნიაში კომმუნა „სტენკა რაზინი" ერთ დესეტინის დამუშავებას ანდომებს მხოლოდ 16 საათს, მეზობელი გლ[illegible] გვარად ვოიტენკო 164 საათს [illegible] სავალი კი უფრო ნაკლებია [illegible] (დესეტინაზე), ვიდრე კომ[illegible] აიხსნება იმით, რომ კომმუ[illegible] კოლექტივებში მუშაობა [illegible] მანქანების საშუალებით.

რომ კოლექტიურად [illegible] წარმოებას დიდი მომავა[illegible] ამას ვამტკიცებს უკ[illegible]ტივები. მათი რიცხვი [illegible] მრავლდება და კოლე[illegible] ლელთა რიცხვიც იზრდება. შედ[illegible] მარტო ღარიბი გლეხები, არამედ [illegible]დრებიც—„კულაკები". აქედან [illegible]ლათ შეიძლება იმ დასკვნის გამო[illegible], რომ მეურნეობის ამხანაგურ საფუძ[illegible]ლზე დამუშავება სასარგებლოა [illegible] ბას იძლევა ეს რომ ასე არ [illegible] უკრაინის სოფლის „კულაკები" ([illegible]დარი გლეხები) არ მოისურვებდ[illegible] კოლექტივში შესვლას. სხვათა [illegible]რის უკრაინის კოლექტივების შემო[illegible] შემოსავალი ერთ დესეტინაზე უდ[illegible]რის 124 მანეთს, კერძო გლეხის მეურნეობა კი იძლევა, არა უმეტეს 97 მანეთისა.

ამრიგათ ერთი და იგივე მიწა, სხვადასხვა პატრონის ხელში, სულ სხვადასხვა მოსავალს იძლევა. ამას საკმაოთ გვიმტკიცებს ზევით მოყვანილი როგორც კერძო მეურნეობანი, ისე კოლექტიური. [illegible] სავლიანობის გადიდებისა[illegible] თავრესი მნიშვნელობა [illegible] თუ როგორ დაამუშ[illegible] დააყენებ მეურნეობას. [illegible] ბა იხმარეს ზევით [illegible] გლეხებმა და რა საშუალ[illegible] კოლექტიური მეურნე[illegible] ლის ორჯერ-სამჯერ [illegible] ეს საშუალებანი [illegible] არიან და უმრ[illegible] თარ ზედმეტ[illegible] და არც საჭი[illegible] დიდი სპეცია[illegible] კარგი თეს[illegible] მასალის [illegible] სით [illegible] იგი[illegible]

---

*) [illegible] რუსეთში პურის [illegible] იშვიათად [illegible]—არ მოდის. [illegible] ნაწილად [illegible] თვის და ქერს.

მათა ცხოვრება

ის მი-

ს 16 სექტემ-
ულორ „გარეშე"-ს
ოთავსებულ წერილის გამო
თის გამასწორებელ სახლის
ის, მოქ. ხუციშვილის შესახებ,
ელოს მუშათა და გლეხთა
ციამ მოახდინა გამოძიება, რო-
დაამტკიცა გაზეთ „კომუ-
ში მოთავსებული წერილის
ილი.
გამო ინსპექციის მიერ ა. წ.
ტემბრის თარიღით მოეთხოვა
საქმეთა სახალხო კომისა-
ქ. ფოთის გამასწორებელ სა-
ფროსის, მოქ. ხუციშვილის
ნიმრო ადგილების სამმარ-
როსის, მოქ. კაკაბაძის
ადაყენება.
ული მასალა კი ამ
ხავნა აღმოსავლეთ სა-
ოკურორს დაინაშავე-
ბაში მისაცემად.

ათა-გლეხთა ინსპექციის
ხალხო. კომისარიატი.

ის კიდევ ერ- ხელ!!

ნდათან დგება მშვი-
ალობის ნორმალურ კა-

ბუნებრივია, რომ
თა სურვილები უფ-
იმათ უკვე ალაო
ეთის ფურცლებზე
მასალების კითხვა,—
ცხოვრების, წარმოე-
ოიის და სხვ. შესახებ.
ბი პრესისა აუცილებე-
მასთან ერთად იმათ
დევ მეტი უნდათ. იმათ
ოთში მუშების მხატვრუ-
ომოებიც იკითხონ. მუშე-
ი სურვილებს ხშირად გამოს-
ხოლმე.
ლია, საბჭოთა პრესა ამ შემ-
ში მათ სურვილებს ჯერ-ჯერო-
რ აკმაყოფილებს, მაგრამ იმე-
ვს, რომ ახლო მომავალში
ასეთ დიდად მნიშვნელოვან
იურ სურვილს ყურადღე-
და გაზეთში ბელეტრის-
ობა სათანადო ად-

ბით, რომ ჯერ-ჯერო-
ა ამ მიზნისათვის თუ
კვირაში ერთი დამა-
ცლის „მუშათა შემო-
ამოშვება. ამას შესძლებს
ისტი" სრულიად ადვი-
ცემა" ამ დიდ საქ-
ოერიდება ხარჯებს.
ვება მუშებს საშუა-
შეუდგნენ სალიტერა-
ტვრულ მუშაობასაც.
შების სურვილს ან-
ო და ლიტერატურულ
ჩვენი მუშური პრესა

მუშკორი მახხი.

დ მოწყობილი სტამბა

პირველ სტამბაში ყველა-
რიგზე მიმდინარეობს.
ებს ჩვენი სტამბის
ო აკმაყოფილებს.
, კარგი გვყავს, დის-
წესრიგი სუფევს თვით

აქ ყველაფერი თავის რიგზეა და სწორად მიმდინარეობს. ვერავის ვერ შეხვდებით უკმაყოფილოდ. ადმინისტრაციასა და მუშებს შორის სრული ამხანაგური განწყობილება და სოლიდარობაა. აქ არც ერთი თავს „ხაზეინად" არა გრძნობს და არც ერთი თავს „შავ მუშად" არ სთვლის როგორც ეს ძველ დროს იყო. ყველა ერთია ყველას ერთი შეგნება და ერთი მზრუნველობა ამოძრავებს. „ხაზეინებსაც" და ნამდვილ მუშებსაც. საურთიერთო შრომა და სახალხო ქონების შენახვა. აი, რა ამხნევებს ჩვენს მუშებს. შრომის ექსპლოატაციას აქ ადგილი არა აქვს. წყნარი და ერთსულოვანი მუშაობა დიდ ენტუზიაზმს იწვევს შეგნებულ მუშებში. დიდი, ძალიან დიდი განსხვავებაა წინანდელ და ახლანდელ მუშაობაში: წინედ მუშები მუშაობაში დიდ დაუდევრობას იჩენდნენ; მუშაობის დროს მეტს დროს ლაზღანდარობაში და ცუღლუტობაში ატარებდენ, ეხლა კი სრულ სიწყნარეში და სერიოზულობით ატარებენ სამუშაო დროს. ყოველივე ეს სამუშაო აპარატის კარგ მოწყობა-დაყენებას უნდა მიეწეროს. ერთი სიტყვით, ვისაც უნდა, საქმის სათანადო სიმაღლეზე და კარგ საფეხურზე დაყენება, უსათუოდ საბჭოთა პირველ სტამბიდან უნდა აიღოს მაგალითი.

სტამბის მუშა გ—ლი.

დაუჯერებელი! დაპირება—უარზე უარესია

(თამბ. ტრესტის პროფკავშირის საყურადღებოდ).

მე ხშირად შემხვედრია ძველ დროში რომ რომელიმე მოიჯარადრე, დაიქირავებდა მუშებს, ააშენებდა შენობას, მამულის პატრონისაგან ჩაიბარებდა ფულსა და მუშები კი, კვირიდან კვირამდის, იდგნენ მოიჯარადრის კარებთან და ელოდებოდნენ შრომის ხელფასის მიღებას, მაგრამ ბოროტი და გაიძვერა მოიჯარადრე ხელოვნურად და მოხერხებულად მაინც ატყუილებდა მათ დღეს-ხვალობით... ამგვარად გავიდოდა რაოდენიმე თვეები, სრულიად უნაყოფო მოლოდინში.

მაშინ ასეთი გაიძვერა და მუშების მოტყუილება ხომ სისტემად იყო აღიარებული, მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს ხომ ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელი რამაა.

ისეთი დაწესებულება როგორიც არის თუთუნის ტრესტი არ უნდა ჩადიოდეს ამ შეცდომას. ჩვენი მუშების სამართლიან მოთხოვნილებას ცხრა თვის განმავლობაში, უნდა მიქცეოდა ტრესტის ყურადღება. მაგრამ სამწუხაროდ, ტრესტი დაპირებით გვიმასპინძლდება მთელ ცხრა თვის განმავლობაში. საქმე შემდეგშია: ჩვენ, თუთუნის ქარხნის „პროლეტარის", მუშებს ამა წლის მარტიდან გვაქვს დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ტრესტთან, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ წელიწადში ორ-ორი ფართუკი უნდა მიეცეს მუშებს საერთოდ და მათ შორის კი მცირე ნაწილს მუშებისას „სპეც ტანისამოსი" წაღებით. ეს ნაწილი ის მუშები არიან, რომელნიც სამუშაოს დაწყებიდან დასასრულამდის სულ წყალთან აქვთ საქმე. რადგანაც ამ დარგის მუშები ფოთოლ თუთუნსა ნამავენ და ზამთარ-ზაფხულში მ[illegible]თი ხელფეხი და მუხლები ცივ წყალს არა შორდება. და სწორედ ამ მუშებისათვის განსაკუთრებით გადაწყვეტილი იყო მიცემა „სპეც ტანისამოსის", ტყავის წაღების, ტყავისავე წინსაფარის ხელთათმანით, ერთი წყვილი „პადოშვი" წაღებისათვის დი ერთი ხელი ამის შესაფერი კასტიუმით. ეს ხელშეკრულება შედგენილია და დამტკიცებული პროფკავშირის ზედამხედველობის ქვეშ 1923 წ. 12 მარტს. მაგრამ დღევანდლამდის არ იქნა ეს პირობა შესრულებული. ივლისში მოხდა ძველი ხელშეკრულების განახლება, სადაც შეტანილია იგივე პირობები, მაგრამ ეს პირობები მაინც ვერ იქნა შესრულებული.

ამ უკანასკნელ დროს მე ქარხნის ადმინისტრაციის წერილით და ხებართვით მივმართე ტრესტის დირექტორს, ამხ. კოროხაშვილს ამის შესახებ, მაგრამ საიმედო პასუხის ნაცვლად, მას თითქმის გულმოსულად შემომძახა: **„მე ეხლავე, ჯიბეში, ხომ არა მაქვს რომ ამოვიღო და მოგცეთ ეგ ნივთები მოითმინეთ კიდევ, ვიფიქრით, ვიყიდით და მოგცემთ"**-ო. საკვირველია „საქმეში ძალისი", პირველი კოლექტიური ხელშეკრულების შემდეგ გაიარა ხუთი თვემ—და მაინც ვერ იშოვნეს ჩვენთვის საჭირო ნივთები. რომ თავისთავი პირობა სინიდისიერად შეესრულებიათ, მეორე ხელშეკრულების შემდეგ უკვე გავიდა სამი თვე და ჯერაც არაფერი გაკეთებულა. ალბათ მესამე კოლექტიურ ხელშეკრულებას უცდის ტრესტის ხელმძღვანელი.

არა ამხანაგო, ჩვენ პატარა, ბავშვები არა ვართ, რომ ცარიელა დაპირებით დავკმაყოფილდეთ, ყველა შეგნებული მუშა მოვალეა რომ თავისი რევოლიუციით მოპოვებული უფლება სავსებით დაიცვას და დავიცვათ კიდეც; გვეყოფა მოტყუება.

ამაზე პროფკავშირიც მოვალეა ხმა ამოიღოს.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

ტრამვაით ვერ ვსარგებლობთ

ორთაჭალის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა მეტად ცუდია იმ მხრივ, რომ ისინი დღემდის ვერ ეღირსენ ტრამვაით ფასდაკლებით სარგებლობას, რისთვისაც მათ თვეში 15 მილიონ მანეთზე მეტი უნდებათ.

ავიღოთ, მაგალითად, იქაურ გამასწორებელ სახლის საავადმყოფოს მომვლელები. მათ აგვისტოს თვეში შრომის ხელფასად აიღეს 33 მილიონი თითომ, და თუ იმათ ტრამვაიზე დაეხარჯათ 15 მილიონი და დარჩათ მხოლოდ 18 მილ. რაღათი ირჩინონ თავი; ეს 18 მილიონი მათ შავ პურზეც არ ეყოფათ.

რაღათი იცხოვრონ? ეს შეეხება მარტოხელებს.

თუ ავიღებთ ოჯახიანებს, მათი მდგომარეობა ხომ სრულიად გაჭირვებულია.

ფული წყალივით მიდის.

რომ ტრამვაის ხარჯები უფრო ცოტა იყოს, მათ შეეძლებოდათ დანარჩენი ფული უფრო აუცილებელ საჭიროებებისთვის მოეხმარებიათ, როგორიც მათ ბევრი აქვთ.

ყველა იქაურმა დაინტერესებულმა დაწესებულებებმა უნდა იხმარონ ყოველივე ზომები მუშების ასეთ მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

ფეხსაცმელი ძვირია და ფული არ არის.

საჭიროა კავშირისა და ადმინისტრაციის მიერ აწინდელ დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ამის შესახებაც იქნეს შეტანილი სათანადო მუხლი.

მუშკორი მახხი.

„კომუნისტის" მუშკორებში

ა. წ. 30 სექტემბერს „კომუნისტის" რედაქციის ბინაზე—შესდგა აღნიშნულ გაზეთის მუშკორთა მორიგი კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა (გერმანიის და ბულგარეთის ამბები); 2) მუშკორი ჩარხიშვილის საქმე, 3) საჰაერო ფლოტის შესახებ, 4) მუშკორთა კავშირის დაარსება, 5) მუშკორის წერილების განხილვა და 6) მიმდინარე საკითხები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. კვარაცხელიამ, რომელმაც მდაბიო, გასაგები ენით განუმარტა მუშკორებს გერმანიის დღევანდელი მდგომარეობის მნიშვნელობა და მოსალოდნელი პერსპექტივები; შეეხო აგრეთვე ბულგარეთის ამბებსაც და მოუწოდა მუშკორებს გამოეხმაურონ ამ დიდად მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტს, რითაც შესაძლებელია.

მოხსენების შემდეგ კრების მიერ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც მუშკორები უცხადებენ თავის მხურვალე თანაგრძნობას გერმანიის პროლეტარიატს და ერთბაშად გამოსთქვამენ გულწრფელ სურვილს, აღმოუჩინონ მას ყოველნაირი დახმარება, როგორც ნივთიერი, აგრეთვე მორალური სათახადო აგიტაციის გაწევით პრესაში და მოუწოდებენ სხვა რედაქციის მუშკორებს და ყველა მუშებს წაბაძონ მათ.

საჰაერო ფლოტის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში მუშკორები აცხადებენ სურვილს გარდა თითოეულის ინდივიდუალური ს. ფ. მეგობართა საზოგადოების წევრობისა გახდენ ამ საზოგადოების წევრად კოლექტიურად, როგორც იურიდიული პიროვნება, როგორც მუშკორთა ორგანიზაცია. ამას გარდა, საჰაერო ფლოტის იდეის პოპულიარიზაციის მიზნით ეთხოვოს საზოგადოებას გამოაცხადოს პრესაში თავისი წესდება.

მუშკორთა კავშირის დაარსების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში კრება ადგენს—დაარსდეს გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშკორთა კავშირი, რომლის წესდების შედგენა დაევალოს კომისიას შემდეგ შემადგენლობით: ამხ. ნიკოლაიშვილი, ირემაშვილი, ელიაშვილი, გაბუნია ბეჩუაშვილი, ბაჟიაშვილი და პ. ბზლიაშვილი, კანდიდ. ჩარხიშვილი, კალანდაძე. წესდება წარმოდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად შემდეგ კრებისთვის.

დასასრულ წაკითხულ იქნა ზოგიერთი მუშკორთა წერილი მათი ღირსებების და ნაკლების ახსნა-განმარტებით.

შემდეგ კრებამ დაავალა ერთ მუშკორს, ამხ. მასს, რომელიც მიემგზავრება ამჟამად მოსკოვში, გაეცნოს იქ მუშკორთა ინსტიტუტის არსებობის მთელს მასალას და ჩამოუტანოს იქ ჩვენს კავშირსაც—ცნობ და სახელმძღვანელოდ.

მუშკორი ა. ნ.

ხოფ. მახანი (შორაპნის მაზრა)

ეს სოფელი მდებარეობს ად. მარელისიდან 4—5 ვერსის მანძილზე. იგი გაშენებულია მთაგორიან ადგილზე და უხვათაა დაჯილდოვებული ბუნების სიმშვენიერით. ჰავა ამ სოფელში სალია, ვინაიდან მას გარშემო არტყია დიდი ტყე „ვახანის აგარაკათ" წოდებული, საიდანაც ყოველწლობით იზიდება რამდენიმე ასეული კუბიკური საჟ. შეშა და სხვა სახმარი მასალა. ნიადაგი კარგია და მოსავალიც კარგი იცის, მხოლოდ უკანასკნელ წლებში, ტყეების უწესრიგოთ და მიზანშეუწონლათ ჩეხვის გამო, წვიმებმა იმატა, რაც იწვევს ადრე აცივებას და ხშირ მოუსავლობას. საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა ტყის ჩეხვა რაციონალურათ ხდებოდეს ამ აგარაკში. აქვე, სოფლის განაპირას მაღალ გორაკზე არის ნახევრათ დანგრეული ციხე, რომელიც ისტორიკოს სერგო გორგაძის ჩვენებით უნდა იყოს აშენებული დაახლოებით მე-15 საუკუნეში. ციხის შიგნით მოთავსებულია ეკლესია, რომლის კედლებზედაც რაღაც წარწერები ემჩნევა. ზაფხულობით ციხე მრავალ მნახველს იზიდავს თავისი მშვენიერი სანახაობით, მით უფრო, რომ ამ ადგილიდან იშლება სურათი ძალიან დიდ სივრცეზე.

სწავლა-განათ. მხრივ ეს სოფელი ჩამორჩენილი იყო დღემდის; წერა-კითხ. უცოდინარი ძალიან ბევრია და ამიტომ გაუნათლებლობის ნიადაგზე ბევრნაირ ცრუმორწმუნეობას აქვს ადგილი. წელს ამ სოფელმა სხვა სოფლებთან (სერბაისი, ზედუბანი, ქვები და მარილისი) ერთად დაარსა ვახანში მთლიანი შრომის სკოლა, რომელიც ამ კუთხისათვის დიდ ბედნიერებათ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ახლო-მახლო რაიონში მთლიანი შრ. სკოლა არ მოიპოებოდა და მცხოვრებთ არ ჰქონდათ საშუალება მოზარდი თაობისათვის სწავლის მიღებინებისა. სკოლის გახსნა ითავა ადგილობრივმა მცხოვრებმა ამხ. ვანო არევაძემ, რომელმაც მიუხედავათ მრავალ სერიოზულ დაბრკოლებებისა დაკისრებული საქმე პირნათლად შეასრულა, რისთვის ის დიდი მადლობის ღირსია. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე [illegible] ის პირები, რომელთაც კეთილ[illegible]ბეს და თავის სურვილით წვლილ[illegible] შეიტანეს სკოლის შენობის შესაკეთებლათ.

ვახო ჭ—ძე.

წალვერის თემის უპარტიო გლეხთა ყრილობა

12 აგვისტოს დაბა წალვერში მოწვეულ იქნა ამავე თემის გლეხთა უპარტიო ყრილობა. ყრილობას დაესწრენ შემდეგი სოფლებიდან: წალვერა, კიმოთეს უბანი, მზესთა მზე, ქვემო და ზემო ცემი, დაბა,—ტბა და სადგერიდან, სულ 300 კაცამდე. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: გელაშვილი, ხრუაძე, ნოზაძე, დათუნაშვილი და ჰოხგაგიძე; მდივნათ ვასოლომიძე; საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ამხ. ლენინი, ტროცკი. ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი და რაჟდენ კალაძე. ყრილობა იხსნება დღის თორმეტ საათზედ. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: წლიური ანგარიშები სათემო აღმასკომისა; საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანები; კოოპერაცია და მიმდინარე საკითხები. მოხსენებას აკეთებს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჭანკოტაძე, რომელიც აცნობებს ყრილობას აღმასკომის წლიურ მოღვაწეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები ამხ. გლეხებისაგან, რომელებზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა მომხსენებელმა. კოოპერაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კარაპეტოვი. იგი მიუთითებს ყრილობას მის დიად მნიშვნელობაზე. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. რაჟდენ კალაძე. მის ტრიბუნაზედ გამოსვლას ყრილობა ტაშისცემით ეგებება. ამხ. კალაძე ვრცლათ ეხება დღევანდელ ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობას და პროლეტარული რევოლიუციის აუცილებლობას. შემდეგ ამხ. გადადის საბჭოთა აღმშენებლობაზე და აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები სწრაფი ნაბიჯით მიდიან წინ აღმშენებლობის დარგებში.

მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუციები: 1) მოვისმინეთ რა მოხსენება თემის აღმასკომის წლიური მოღვაწეობის შესახებ, ვადგენთ: როგორც დღემდის ყოფილა წარმოებული ნაყოფიერი მუშაობა, შემდეგისთვისაც ვუსურვებთ ასეთ ნაყოფიერ მუშაობის გაგრძელებას თემის საკეთილდღეოთ ჩვენის დახმარებით. 2) მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კალაძისა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის და საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, წალვერის თემის გლეხთა უპარტიო ყრილობა უსურვებს საბჭოთა ხელისუფლებას განმტკიცებას და ფიცს ვსდებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მტრების წინააღმდეგ მუშურ-გლეხური ხელისუფლების შესანარჩუნებლათ.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას, შემდეგ კრება იხურება და მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. გლეხებს სახეზედ სრული კმაყოფილება ეტყობოდათ,

მუშკორი მკერვალი ნიკო.

ქ. ჭიათურა

ა. წ. 8 სექტემბერს ქ. ჭიათურას ეწვია პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობასთან არსებული პოლიტკულტის დრამატიული სტუდია სანდრო ეულის ხელმძღვანელობით. მათ მიერ ამავე საღამოს ქ. ჭიათურის აკადემიურ თეატრში დადგმულ იქნა პიესა „რევოლიუციის მორევში" და მასთან წაკითხულ იქნა სანდრო ეულის ლექსები, როგორც სტუდიელების მიერ, აგრეთვე თვით ამხ. ეულის მიერაც. წარმოდგენას დაესწრო უმრავლესობა ჭიათურის მაღაროს და ვაგონის მტვირთველ მუშებისა და საბჭოთა მუშა-მოსამსახურენიც. მუშები შეხვდენ აღფრთოვანებით ასეთ რევოლიუციონურ წარმოდგენას, მუშების და დამსწრე საზოგადოების სახელით ამხ. ბ. ლეჟავამ მხურვალე მადლობით მიმართა სანდრო ეულს და დრამატიულ სტუდიას.

დამსწრე საზოგადოება ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ სასურველი იქნებოდა რომ ხშირად მოეწყობოდეს ქ. ჭიათურის მაღაროების მუშებს ასეთი პროლეტარული დასი და გაგვიმართავდეს ხოლმე რევოლიუციონურ წარმოდგენებს.

წარმოდგენამ დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

გ. შუკაკიძე.

პროვინციაში

გორის საბავშვო სახლის წლის თავი

24 სექტემბერს შესრულდა
წელი, რაც გორში დაარსდა
ავშვების თავშესაფარი,—სა-

ჩვენ გონებიდან არ
სამწუხარო სურათი,
ერთი წლის წინათ
ვენ გორის საბავშვო
კრებნი.
კრემილნი, ძონძებში გა-
ჭუჭყიანი და წელში მო-
ნი მოკრ[illegible]ლებით მოად-
მომავალ „სა-
ით, თითქოს
გრესო, მათ
ფეხი ისეთს
ოდათ მზრუნვე-
რფელი მშობლიური სი-
ალერსი. ეს ბინა გო-
ავშვო ამხ. „კამოს" სახელო-
სახლია, რომელსაც დასტრია-
ამხ. ქ. შოთის განუზომელი სიყვა-
ი სავსე პიროვნება, სახალხო
და ა. | ქ. ფინსახკომისარიატის
ებულის (საქართველოში) სა-
ველოს თანამშრომელთა უან-
და უზომო დახმარება და
სი და გორის და მისი მაზრის
მელთა იმედი, სიყვარული და
და აი, ამ სახლის საზეიმო
ასწაულო დღეა 24 სექტემ-

დს მოესურვებინა ხელი შე-
ჩვენთვის, მაგრამ დაგროვილმა
ი გულის წადილმა ამ დღის
ვალეთ ჩასატარებლათ სძლია
საც. ცამ გადიყარა მხრებიდან
ურქი, მზემ თავი გამოჰყო და
ით თვალი — გადმავლო იმ
მოქალაქეთ, რომელნიც ამა-
მხიარულათ, თეთრს ტანისა-
გამოწყობილნი და მწკრივათ

დაწყობილნი თავისი შენობის წინ, უნდა შეხვედროდნენ წითელი დროშებით, მოსალოცათ მომავალ გორის მოქალაქეთ.

გამოჩნდნენ უკანასკნელნი. ყრმებმა მათ მოაგებეს შეხვედრის სალამი, რომელზედაც ეწერა: „თქვენ ჩვენ აღგვზარდეთ, ჩვენ თქვენ დაგეხმარებით-ო".

ამ შემთხვევაში, ამ სიტყვებში და იმ იდუმალ ურთიერთ სულიერს კავშირში მოსჩანდა იდუმალივე ძალა და ეს არის მაჩვენებელი და თავდები იმის, თუ რა კეთდება საბავშვო სახლში და რის შედეგიც უკვდავათ დარჩება მომავალის პირნათლად შესახვედრათ.

შეხვედრა დაიწყო ამხ. ქ. შოთის სიტყვით. სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. ელისაბედაშვილმა, ამხ. გ. ბუხნიკაშვილმაც, მაგრამ მეტად სასიამოვნო იყო თვით ბავშვების მიერ სამადლობელი პასუხი. მათი წკრიალა ხმა, დადებითი კილო, სითამამე და დალაგებული აზრი თავდებია მომავალ მუშაკთა მოცემისათვის.

და აი, როდესაც ამ სურათს ვადარებთ წარსული წლის 24 სექტემბრის სურათს, ჩვენ ვიძახით—დიდია საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედება და განუზომელია მის მიერ მიღწეული საქმიანობა!

ამ ერთ წელში ყველაფერი შეცვლილა: სახლი გაზრდილა, ბავშვთა რიცხვს 84 კაცამდის მიუღწევია, შენდება ბაღი, ეწყობა სათამაშოები და სამუშაო სახლი და ყველა ეს გვაიმედებს, რომ მომავალი წლისათვის უფრო მეტი შედეგებით შეგვიძლია თავი ვიიმედოთ.

ღრმა მადლობის ღირსია ადგილობრივი ხელისუფლება და ამხ. ქ. შოთი მთელი მასწავლებელთა შემადგენლობით; მეტად დაუვიწყარი და სიმპატიურია აქ სახლის შეფის მზრუნველობა, მადლობის ღირსნი არიან მთელი გორის მაზრალნიც, რომელნიც თავიანთი წვლილით ეხმარებიან ბავშვებს, რათა ისინი ჩვენ ბოლოს დაგვეხმარონ.

ხსენებულ საბავშვო სახლის შეფმა ა. წ. 24 ენკენისთვემდის ამაღ დღის კურსით, გარდა მორალურ და საგნობრივ დახმარებისა, გაიღო 23.630.000.000 მ.

მაგალითი მისაბაძია. გაუმარჯოს ღირსეულ შეფს.

გიო ქართლელი.

ოზურგეთის რკინის გზის შესახებ

იმედია, რომ ოზურგეთის რკინის გზა ამ თვენახევარში დამთავრდება; ეს მეტად სასიხარულოა. მაგრამ ამ საქმეს ერთი ნაკლი ახლავს თან და ძლიერ დიდი ნაკლიც.

საქმე ის არის, რომ სადგურის აგება ყოვლად უვარგისს ალაგას არის განზრახული. ჩვეულებრივ სადგურს აშენებენ ქალაქის თავში, ან ბოლოში, საითკენაც ქალაქს საშვალება აქვს გაიწიოს და გაფართოვდეს. ამასთან სადგურს აუცილებლად უნდა ხვდებოდეს ქალაქის უმთავრესი ქუჩები. ეხლა დაინტერესებულ პირებს ვსთხოვ კარგად დაფიქრდნენ, თუ რამდენათ სავარგისია სადგურისათვის ის ადგილი, სადაც სადგურის აგებაა განზრახული. ჩავარდნილი და ჭაობიანი ადგილი, სადაც წვიმების დროს, ზეგნებიდან, განსაკუთრებით, ზამთარ-შემოდგომაზე წელამდე ლაფი ჩამოდის; გასაწევი არსაითკენ, ხეირიანი და მნიშვნელოვანი გზა არსაიდგან, ამასთან ირგვლივ მოსახლეები, რომელთა იქ დგომა ყოვლად უხერხული და შეუფერებელია.

ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, გზა რამდენიმეთ კიდევ წაგვეწია წინ, სახელდობრ ლაშის ქუჩამდე. აქ ადგილი გაცილებით უფრო მშრალია; ქალაქაც გასაწევი ალაგი საკმარისი აქვს, თან სადგურიც უმთავრესს ქუჩას დაუკავშირდება: ლაშის ქუჩას, რომელიც ოზურგეთის ცენტრიდან გამოდის; ქუთაისის ქუჩას, რომელიც მთელი აღმოსავლეთი გურიის ერთადერთი ქალაქში შემოსასვლელი გზაა და მოიდანახის ქუჩას. ხოლო თუ ოდესმე მთავრობა ჩოხატაურისაკენ და უფრო იქით რკინის გზის გაყვანას იფიქრებს,—სულ ერთი იქნება, გინდ აქედან, გინდ იქიდან დაიწყოთ გზის გაგრძელება.

ვისურვებდი, დაინტერესებულ პირებს სახეში მიეღოთ ყველა ეს გარემოება და ეს საშვილიშვილო საქმე ჯეროვანად დაეგვირგვინებიათ.

ამასთან საჭიროდ ვსთვლი მოვაგონო მათ, რომ ამ საქმის შესახებ მოწვეულ ინჟენერთა თათბირზე, რომელსაც მეც დავესწარი, ყოველივე ეს ნათლად გავარკვიე და თათბირიც ჩემს აზრს დაადგა.

თ. ერქომაიშვილი.

დიდი ბაზრობა ლეჩხუმში

ქალაქ ცაგერში (ლეჩხუმის მაზრა) იმართება დიდი „საეკენო" ბაზრობა, რომელიც გაიხსნება 1923 წლის 27 ენკენისთვეს და გაგრძელდება სულ სამი კვირა. გამართულია საბაზრობო საუცხოო სავაჭრო შენობები და კარავები.

ამ საეკენო ბაზრობაში მონაწილეობას იღებს თერთმეტი ქალაქია და მაზრის ვაჭარ-მრეწველნი. ბაზრობას ხელმძღვანელობს საბაზრობო განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაიცავს, როგორც ბაზრობაში მონაწილე ვაჭარ-მრეწველთა ქონებას, აგრეთვე საბაზრობო წესებს.

ზ. წ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად

ყველა სახალხო მოსამართლეს და სასამართლოს აღმასრულებელს.

მიმდინარე წლის ივნისიდან მოქმედება დაიწყო ამიერ-კავკასიის უმაღლესმა საარბიტრაჟო კომისიამ (დებულება იხ. „ზარია ვოსტოკა" № 221 და 261), რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის აღძრული ყველა ქონებრივი დავა.

უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში საქმეთა წარმოებას წესის თანახმად (დადგენილება № 63 იხ. „ზარია ვოსტოკა" № 328), კომისიის გადაწყვეტილებათა აღსრულება ევალება საქმეში მონაწილე მხარეს იმ პირობით, რომ, უკეთუ გადაწყვეტილება საარბიტრაჟო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნება აღსრულებული, იგი სისრულეში უნდა მოიყვანოს სასამართლოს აღმასრულებელმა.

მაგრამ, რადგან ამიერ-კავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიის და საარბიტრაჟო კომისიების შტატებში სასამართლოს აღმასრულებელი არ არის, გადაწყვეტილება, აღნიშნული კანონდებულებათა აზრით, სისრულეში უნდა მოიყვანოს ცალკე რესპუბლიკების სასამართლოს აღმასრულებელმა.

აღნიშნულის გამო წინადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოსაყვანად სასამართლოს აღმასრულებელს მხარის თხოვნით დანიშნავს იმ ადგილის სახალხო მოსამართლე, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.
2. საარბიტრაჟო კომისიის აღმასრულებელი ფურცლით გადახდევინება მოხდება იმ ინსტრუქციის მე-3 თავში მოყვანილი წესით, რომელიც შეეხება სამოქალაქო საქმეების გამო გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულების წესს იმ პირობით კი, რომ საჩივარი იმ სახელმწიფო დაწესებულების ან სახელმწიფო საწარმოს მოქმედებაზე, რომელიც საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებას არ შეასრულებს, შეტანილ უნდა იქნეს იმავე საარბიტრაჟო კომისიაში; საარბიტრაჟო კომისიამვე უნდა გადასწყვიტოს ყველა ის საკითხი და დაბრკოლება, რაც შეიძლება აღიძრას სასამართლოს აღმასრულებლის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანის წესით.
3. საარბიტრაჟო კომისიას უფლება ეძლევა თვალყური ადევნოს საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანას იმ სასამართლო აღმასრულებლის მიერ, რომელსაც ეს საქმე აქვს დაკისრებული.

იუსტიციის სახალხო კომისრის მაგიერ—
ბროდსკი.
სასამართლოს მომწ. განყოფილების გამგე
ტერ-არუთინოვი.

დებულება.

სასამართლოში საქმეების დამცველთა კოლეგიისა.

1. ოლქის სასამართლოსთან მყოფი დამცველთა კოლეგიის წევრი აწარმოებს საქმეს სათანადო სამოსამართლო ოლქის სასამართლო დაწესებულებაში როგორც დაინტერესებული პირის და დაწესებულების მინდობილობით, ისე კოლეგიის პრეზიდიუმის დავალებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოება შეუძლიან ორთავე ოლქის სასამართლოს დამცველთა კოლეგიის წევრს.

2. მან, ვისაც სურს [illegible]დამცველთა კოლეგიის წევრობა, უნდა [illegible]ანოს შესაფერი განცხადება სათანა[illegible] კოლეგიის პრეზიდიუმში და ამ გან[illegible]სთან წარუდგინოს ცნობები სწავლა-[illegible]თლებისა, სახელმწიფო დაწესებულებასა თუ საწარმოში—აგრეთვე პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და სხვ. ნამსახურობის შესახებ, და საჭირო საბუთები: კოლეგიის პრეზიდიუმი, უკეთუ იგი ამ განცხადებიდან დაინახავს, რომ განმცხადებელი გამოცდილ უნდა იქნეს თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სასამართლოში საქმეთა დამცველთა შესახებ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შენიშვნისა, წარმართავს განცხადებას ოლქის სასამართლოსთან არსებულ გამომცდელ კომისიაში.
3. პრეზიდიუმის დადგენილება კოლეგიის წევრად ჩარიცხვასა ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებულ და დამყარებულ უნდა იქნეს განმცხადებელის მიერ წარდგენილ საბუთებზე. ხოლო საჭირო შემთხვევაში—კი მოწმობაზედაც გამოცდების დაჭერის შესახებ.
4. უარი კოლეგიის წევრად მიღებაზე ერთი თვის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ოლქის სასამართლოს პლენუმში, რომელიც დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმისაგან ახსნა-განმარტების მოთხოვნის შემდეგ, უკეთუ სცნობს, რომ საჩივარი შეწყნარებულია, წინადადებას აძლევს კოლეგიის პრეზიდიუმს, მთხოვნელის ჩარიცხვის საკითხი ხელახლა გადაისინჯოს, ხოლო უკეთუ პრეზიდიუმი ახალი დადგენილებით დაადასტურებს თავის პირველ დადგენილებას, დამცველთა კოლეგიაში მოჩივრის წევრად ჩარიცხვის საკითხს გადასწყვეტს იუსტიციის სახალხო კომისარი.
5. დამცველთა კოლეგიაში ყოველი ახალი წევრის ჩარიცხვა კოლეგიის პრეზიდიუმმა სამი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს ოლქის სასამართლოს პლენუმს.

თვის
თუ იმ
შესახებ, შე
რაც უნდა
უკეთუ ერთი კის განმავლო
აცილება არ მოხდა, კოლეგიის
ამ პირს აძლევს კოლეგიაში ჩ
მოწმობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ოლქის სასამარ
პლენუმის დადგენილება აცილების შე
შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს იუსტიცი
სახალხო კომისართან ორი კვირის განმავლობაში დღიდან მოჩივრისათვის დადგენილების განცხადებისა.

7. დამცველთა კოლეგიამ უნდა განსაზღვროს დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო რიცხვი სამოსამართლო ოლქისათვის, ამასთანავე მან უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო დაწესებულებათა რიცხვით, აგრეთვე ამ დაწესებულებებში წარმოებულ

გ
ხე
დად
აცნო
სახალ
რო ალ

პარტიული და საბჭოთა

პარტიული

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაც
კომიტეტის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ საშაბა
საღამოს 6 საათზე, საუბნო კომიტეტის ბინაზე მოხდება დელეგატ
ბა ქალთა ორგანიზაციებთან ერთად.

ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მოხდება ქალთა
ტორების თათბირი საუბნო კომიტეტის ბინაზე.

ყველა ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა პარტიუ
ლინის წესით.

მე-4 საუბნო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ბეწიაკო

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამ
ჩოლოყავას ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საქ. კომპარტიის ტფილი
კომიტეტის აღმრიცხავ-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: გოლდბაუმი.
აღმრიცხავ სტატისტიკურ ქვე-განყოფილების გამგე. ბარსეგოვი.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი
ხამშაბათს, 18 ოქტ.
წარმოდგენილი იქნება
„ველური ქალი"
4 მოქ. კომედია.
„ველური ქალის" როლს შეასრულებს
ალექსი-მესხიშვილის ქალი.
ნის. № 645 1—1

ტფ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილება

შინაურ საქონლის გადამდებ სენთა წინააღმდეგ ზომების მიღებისა.

ვინაიდან ამ ბოლო დროს გახშირდა ტფილისში შინაურ პირუტყვებზე ციმბირის სენი და გარდა ამისა ერთი ჩლიქიანი ცხოველების დაავადება ქოთაოთ, რაც ადვილად გადადის არა თუ პირუტყვებზე, არამედ ადამიანებზედაც, ტფილისის აღმასკომი ადგენს:

1. მოხდეს აღწერა ქალ. ტფილისში ყველა შინაურ პირუტყვებისა, რომლებიც ეკუთვნიან, როგორც კერძო პირთ, ისე დაწესებულებათ.
2. ყველა სახლის პატრონი, სახლის მოურავი, კომენდანტი და ვისაც კი დავალებული აქვს სახლის მეთვალყურეობა ტფილისში და მის რაიონებში, აგრეთვე დაწესებულებანი: სამოქალაქო, სამხედრო და კერძო, დღიდან ამ სავალდებულო დაადგენილების გამოცხადებისა ერთი თვის ვადაში ვალდებულნი არიან წარუდგინონ აღმასკომის ვეტგანყოფილებას (ოთახი № 30, შესავალი განოვის ქუჩიდან) სწორი სია იმ შინაურ პირუტყვთა, რომელნიც იმყოფებიან ამა თუ იმ სადგომში, ან ამა თუ იმ დაწესებულებასთან.
3. შინაურ პირუტყვთა სიები მათი წარმოდგენის ხელმომწერით უნდაიყვეს შედგენილი შემდეგი ფორმით:

№№ რიგ.	სახელწოდება ქალაქის, ადგილის, ქუჩის, სახლის №, სახელი, მამის სახელი, გვარი, საქონლ. პატრონისა.	ცხენი, ვირი, ჯორი.	მსხვილფეხა რქიანი საქონ.	[illegible]	ხბო.	ცხვარი, თხა.	ბატკანი, თიკანი.	ღორი.	[illegible]	შენიშვნა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.—1. განაპირა უბნებში შეიძლება იქმნეს შედგენილი საერთო სია ზემოაღნიშნული ფორმით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.—2. სიები უნდა იქნეს დაწერილი გარკვევით.

4. შინაურ პირუტყვთა პატრონებს ევალებათ პირველ მოთხოვნილებისთანავე წარმოუდგინონ პირუტყვები რაიონის ვეტპერსონალს ციმბირის სენის (ხუზარა ჭილები) ასაცრელათ, ცხენების პატრონები კი მოვალენი არიან სამ თვეში ერთხელ წარმოუდგინონ ისინი სათანადო შესამოწმებლად ქოთაოს მხრივ.
